


Arabesque

BALLET MAGAZINE

„არაბესკი“ ჟურნალი ბალეტზე

№2(25) 2015





Arabesque

No2(25) 2015

Ballet Magazine

„არაბესკი“ მუსიკალური ბალეტის



ზაპარია ფალიაშვილის სახელობის
თბილისის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო
თეატრის საბალეტო დასის ჟურნალი

MAGAZINE ABOUT THE BALLET COMPANY OF THE TBILISI
Z. PALIASHVILI OPERA AND BALLET PROFESSIONAL STATE THEATRE

გამოდის ნელინადში ორჯერ

Issued twice a year

თეატრის სამხატვრო
ხელმძღვანელი
დავით კინწურაშვილი

Artistic Manager
of the Theatre
DAVID KINTSURASHVILI

საბალეტო დასის
ხელმძღვანელი
ნინო ანანიაშვილი

Artistic Director of
the Ballet Company
NINA ANANIASHVILI

მთავარი რედაქტორი
ილია თავზარიძე

Editor-in-Chief
ILIA TAVBERIDZE

ინგლისური ტექსტების
რედაქტორი

მეშპა ჯორჯაძე

Editor of the English
language content

MASHKA JORJADZE

დიზაინი

ბესიკ დანელია

Design by

BESIK DANELIA

ფოტოგრაფი

ლადო ვაჩნაძე

Photographer

LADO VACHNADZE

ნომერში გამოყენებულია ლადო ვაჩნაძის, გელა ბედიაშვილის,
ნინო ალავიძის (Agenda.ge), ლაშა კუპრაშვილის ფოტოები

This issue features photographs by LadoVachnadze, Gela Bedianashvili,
Nino Alavidze (Agenda.ge), Lasha Kuprashvili.

გარეკანზე: სერგო ქობულაძის ფარდა თბილისის ოპერის სცენაზე.
2015 წელი დეკემბერი. ლადო ვაჩნაძის ფოტო

Cover photograph: Stage curtain by SergoKobuladze at the Tbilisi Opera and Ballet
Theatre, December 2015. Photograph by LadoVachnadze

დაბეჭდა შპს „სეზანში“
Printed by "Cezanne" Ltd

თბილისი 0108, რუსთაველის გამზირი 25

25, RUSTAVELI AVE. 0108, TBILISI, GEORGIA

ტელ./TEL: +995 32 235 75 03

თირაშო: 300

UDC (უბკ) 792 - 6
A - 70

ISSN 1512-3294

www.opera.ge

თბილისის ოპერისა და ბალეტის განახლებული და
რესტავრირებული თეატრი მაცურებლისთვის 2016
წელს გაიხსნება. ექვსი წლის შემდეგ თეატრის კო-
ლექტივი დაბრუნდა ამ ისტორიულ და ლამაზ შენო-
ბაში, რომელიც განახლებული, ტექნიკურად სრულიად
ახლებურად აღჭურვილი, ფართო შესაძლებლობე-
ბითა და საუკეთესო პირობებით დახვდა მას.

პრემიერები და ახალი საინტერესო დადგმები
მომავალ წელს მრავლად იქნება. საბალეტო
დასმა ახალ სცენაზე უკვე გამართა გენერალური
რეპეტიციები. შედგა ირუი კილიანის „სარაბანდას“
ჩაბარება, სარეპეტიციო დარბაზიდან სცენაზე იქნა
გადმოტანილი „გედების ტბის“ ახალი რედაქცია.
ახალ სცენას „გორდას“ დეკორაციებიც მოარგეს.
„გორდა“ იქნება პირველი საბალეტო პრემიერა,
რომელიც განახლებულ თეატრში გაიმართება.

ძალიან ლამაზია თეატრი. როცა ირუი კილიანის
პროგრამის ჩაბარება ვუცქერდით, დავრწმუნდით,
რომ ეს არის ნამდვილი თეატრალური გარემო,
ტექნიკის უახლესი შესაძლებლობებით აღჭურვილი
სცენა, რომლის განათებამ ფოტოობიექტივში სულ
სხვა ეფექტით ალბეგდა სპექტაკლის კადრები.

როცა შურნალი დასაბეჭდად მზადდებოდა, კიდევ
ერთი საინტერესო და სასიამოვნო სიახლის შესახებ
გახდა ცნობილი – თეატრს საკუთარი სავიზიტო
ბარათი – სერგო ქობულაძის მოხატული ფარდა
დაუბრუნდება. ამ და სხვა სიახლეებზე „არაბესკის“
ამ ნომერში წაიკითხავთ.

The renovated Tbilisi Opera and Ballet Theater will be
open for audience in 2016. After six years, theater staff
returned to this historic and spectacular venue, which
offers sophisticated technical capacities, wider range
of capabilities and superb environment.

Lots of premieres and exciting productions are
planned for upcoming year. Ballet company has
already conducted dress rehearsal. Jiří Kylian's *Sara-
bande* was commissioned and new choreographic
version of *Swan Lake* was moved from rehearsal hall
to stage. *Gorda's* set is adapted to new stage. *Gorda*
will be the first performance at modernized theater.

Theater is fascinating. When we attended commis-
sion of Jiří Kylian's program, realized that this was
true artistic environment. With cutting edge stage
equipment and lightning absolutely different visual
effects are caught in photographs.

While preparing magazine for publishing, note-worthy
news was announced – theater reclaimed its trade-
mark – curtain painted by Sergo Kobuladze will be back
to theater. Find more news in this edition of *Arabesque*.



04 თეატრის განახლებულ შენობაში დაბრუნება Back to renovated theatre

ინტერვიუ პრემიერის წინ • INTERVIEW PRIOR TO PREMIERE

თათია ბუხრაშვილი • TATIA BUKHRASHVILI

12 ნინო ანანიაშვილი: „ჩვენ შევინარჩუნეთ ჭაბუკიანის ქორეოგრაფია“ Nina Ananiashvili: “We preserved Chabukiani’s choreography”

მემკვიდრეობა • LEGACY

ოთარ ეგაძე • OTAR EGADZE

18 ათი წელი, ორასი სპექტაკლი Ten Years, Two Hundred Productions



26 Ballet News

ახალი სპექტაკლები • NEW PERFORMANCES

ილია თავბერიძე • ILIA TAVBERIDZE

28 სიმფონია დო მაჟორი Symphony in C

31 ვარდის ზმანება Le Spectre de la rose



თარიღი · DATE

33 ვერა წიგნაძე 90
Vera Tsignadze's 90th Anniversary

პრეზენტაცია · PRESENTATION

37 ქართული ბალეტის ათი წელი
Ten years of the Georgian ballet
2004-2014

39 Ballet News

ბალა · GALA

40 RED&WHITE
ქართულ-იაპონურ გალა-კონცერტი
Georgian-Japanese Gala Concert



სიხსნა · MEMORY

42 Ave Maia!
მაია პლისეტკაია
Maya Plisetskaya


44 გუგა
Guga

47 Ballet News

48 დასი
The Company







თეატრის
განახლებულ
შენობაში
დაბრუნება
Back
to renovated
theatre



ეკატერინე სურმავა, საბალეტო დასის სოლისტი: „ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. არაჩვეულებრივი დარბაზები გვაქვს, საგრძნობი როები. ყველანაირი პირობაა მუშაობისათვის. ისლა დაგვრჩენია ვიმუშაოთ და კარგი სპექტაკლები შევთავაზოთ მაყურებელს. მთელი დასი ძალიან კმაყოფილი, გახარებული და ბედნიერია. დარწმუნებული ვართ ეს ჩვენი თეატრის ახალი გამარჯვებების დასაწყისი იქნება“.

თეატრის რესტავრირებულ შენობაში დილის კლასს დასის სამხატვრო ხელმძღვანელი დაესწრო. ნინო ანანიაშვილი მოხიბლულია სარეპეტიციო დარბაზების ტექნიკური აღჭურვილობით.



საბალეტო დასი ოპერის თეატრის შენობაში 2015 წლის 4 მარტს დაბრუნდა

რესტავრაციის გამო, 2009 წლიდან დახურული თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობა 2015 წლის 4 მარტს საბალეტო დასისთვის პირველად გაიღო. იმ დღით ჩატარებული ცეკვის კლასი განსაკუთრებულად ემოციური გამოდგა. სარეპეტიციო დარბაზებში შესვლას ბალეტის მსახიობები ექვსი წელი ელოდნენ.

ნინო ანანიაშვილი, ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი: „ამ დღეს ხუთი წელი ველოდით და ძალიან ბედნიერი ვართ. ჩვენი ცხოვრების კალენდარში 4 მარტი შეიძლება მნიშვნელოვან დღედ შევიტანოთ – ამ დღეს დავბრუნდით განახლებულ, გალამაზებულ თეატრში. საჩვენებელი ბევრი გვაქვს, სამუშაოც, გეგმები კიდევ უფრო დიდი. ეს ლამაზი შენობა ყველა ჩანაფიქრის განხორციელების საშუალებას მოგვცემს“.

BALLET COMPANY GOT BACK TO THEATRE ON MARCH 4, 2015

Since restoration works began in 2009, March 2015 is the first time Tbilisi Opera and Ballet Theatre doors are open to Ballet Company. Ballet class of that morning turned out especially emotional for them, as artists waited for five years to enter rehearsal hall.

Ekaterine Surmava, Ballet Company soloist: It exceeded our expectations. Halls and make-up rooms are superb. All conditions are met for work and all we have to do is to produce and present stunning ballets to our audience. Company members are all thrilled and content. I am certain that this is starting point of triumph of our theatre.

Artistic director Nina Ananiashvili attended morning class in renovated building and was thrilled with technical equipment of rehearsal halls.

Nina Ananiashvili, ballet artistic director: for 5 years we waited for this moment and



now are so happy. We can mark 4 March as an important date in our history- today we got back to renovated, redecorated theatre. Many performances are to show; huge amount of work is ahead and goals are even greater. This gorgeous building will empower us to meet all our aspirations.

ახალი სარეპეტიციო დარბაზი

26 აპრილს დანიშნული სპექტაკლის – „შიზელის“ წინ დასს პირველად მიეცა საშუალება გენერალური რეპეტიცია თეატრის ჯანსუღ კახიძის სახელობის ახალ სარეპეტიციო დარბაზში ჩაეტარებინა. ამ სცენაზე ეს ბალეტის პირველი რეპეტიცია იყო.

NEW REHEARSAL HALL

On April 26, prior to *Giselle* performance, company was given the chance, for the first time, to conduct dress rehearsal at new rehearsal hall named after Jansug Kakhidze.



NEW CURTAIN

In October, last phase of theatre's main stage modernization works began. Central curtain was hanged on October 11. Restaurateurs and specialists agreed to order conception of this curtain to German company. Color is unchanged, though its technical possibilities are doubled. Details and ornaments are processed with care, what creates special ceremonial spirit.

სცენის ახალი ფარდა

ოქტომბრის დასაწყისში თეატრის მთავარი სცენის სამუშაოების ბოლო ეტაპი დაიწყო. სცენაზე მთავარი ფარდა 11 ოქტომბერს დაიკიდა. ახალი ფარდის შექმნა რესტავრატორებმა და სპეციალისტებმა გერმანულ ფირმას დაუკვეთეს. ფარდის ფერი უცვლელია, თუმცა მისი ტექნიკური შესაძლებლობები – გაორმაგებული. დეტალები და ორნამენტები გულდასმით დამუშავებულია, რაც ფარდის განსაკუთრებულ საზეიმო ხასიათს ქმნის.



Arabesque N251 7




პირველი წარმოდგენა თეატრის განახლებულ სცენაზე


28 ნოემბერს თეატრის რესტავრირებული, განახლებული თეატრის სცენაზე პირველი წარმოდგენა გაიმართა. საბალეტო დასმა თანამედროვეობის უდიდესი ქორეოგრაფის ირუი კილიანის ბალეტების პროგრამა წარმოადგინა, მათ შორის საპრემიერო სპექტაკლი – „სარაბანდა“. პრემიერა თეატრის გახსნის შემდეგა დაგეგმილი და ქორეოგრაფის იმ ბალეტებთან ერთად იქნება წარმოდგენილი, რომლებიც 2008 წლიდან უკვე არის რეპერტუარში. ირუი კილიანის ბალეტების დამდგმელი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ნიდერლანდების ცეკვის თეატრის ბალეტმაისტერები – პატრიკ დელკრუა, შირლი ზოელაიკა ესებუმი, განათებისა და სცენოგრაფიის ავტორი ქეის თიებესი და ხმის რეჟისორი დიკ შტუცელი, კილიანის პროგრამის წარმოდგენას თავად ხელმძღვანელობდნენ. პროგრამა ოთხი ერთმოქმედებიანი ბალეტისგან შედგება: *Petit Mort*, *Sechs Tänze*, *Falling Angels* და *Sarabande*.



FIRST PERFORMANCE ON THE STAGE OF RENOVATED THEATER

On November 28th the renovated Opera and Ballet Theater stage hosted the first performance since 2006. State Ballet of Georgia offered the audience program of the great choreographer of the modern time Jiri Kylian including the Georgian premiere of his ballet *Sarabande*. Premier of this ballet for the general audience is scheduled after the official opening of the theater and will be presented with the other ballets of Kylian which are included in the repertoire since 2008. The staging group including Ballet Meister of the Dance Theater of Netherlands Patrick Delcrua, Shirley Zoelaika Esebum, Director of Lighting and Stage Keis Tiebes and and Sound Director Dick Shtutzel were present and directed the performance which included four one act ballets: *Petit Mort*, *Sechs Tänze*, *Falling Angels* and *Sarabande*.





„გედების ტბა“ ახალი რედაქციით

პ. ჩაიკოვსკის „გედების ტბა“ ბოლოს თეატრში 2005 წელს ალექსეი ფადეეჩევის მიერ იქნა დადგმული. ათი წლის მანძილზე სპექტაკლი არაერთხელ იქნა წარმოდგენილი როგორც ჩვენი თეატრის სცენაზე, ისე გასტროლებზე ამერიკის შეერთებულ შტატებში და იაპონიაში. გადაწყდა, რომ 2016 წელს მაყურებელს „გედების ტბის“ განახლებული რედაქცია შესთავაზოს თეატრმა. ბალეტის ახალ ქორეოგრაფიულ რედაქციაზე მუშაობა უკვე დაიწყეს დამდგმელმა ქორეოგრაფმა ალექსეი ფადეეჩევმა და მისმა ასისტენტებმა ტატიანა რასტორგუევამ და ეკა შავლიაშვილმა. პრემიერა 2016 წლის გაზაფხულზე დაგეგმილი. პირველი გენერალური რეპეტიცია ახალ სცენაზე 9 დეკემბერს უკვე შედგა.



NEW CHOREOGRAPHIC VERSION OF SWAN LAKE

P. Tchaikovsky's *Swan Lake* was staged for the last time in 2005, by Alexei Fadeechev. Ballet was presented many times on our stage, as well as on tours to USA and Japan. Theatre decided to present new choreographic version of the *Swan Lake* ballet in 2016. Staging choreographers Alexei Fadeechev, his assistants Tatiana Rastorguyeva and Eka Shavliashvili are already working on new version of the ballet. Premiere is scheduled on spring 2016.



42 წლიანი პაუზის შემდეგ
ოპერისა და ბალეტის თეატრმა
მთავარი სავიზიტო ბარათი
დაიბრუნა

After 42 years
Opera and Ballet Theatre
returned its trademark



12 დეკემბერს თეატრის სცენაზე სერგო შოგულაძის ფარდა დაჰიდეს
STAGE CURTAIN BY SERGOKOBULADZE WAS HUNG ABOVE THE THEATRE STAGE ON DECEMBER 12

თეატრში სერგო ქობულაძისეული ისტორიული ფარდა დაბრუნდა. მოხატული ფარდა თბილისის ოპერის თეატრის მთავარი სავიზიტო ბარათი 1960 წლიდან გახდა. 13 წლის შემდეგ კი ოპერაში გაჩენილმა ხანძარმა ის მთლიანად გაანადგურა. ახალი ფარდის ესკიზზე სერგო ქობულაძემ თეატრის დაწვის შემდეგ მუშაობა მალევე დაიწყო, თუმცა სამუშაო ბოლომდე ვერ დაასრულა. ესკიზს საბოლოო სახე მხატვრის ნათესავმა ილია ტატიშვილმა მისცა და მის ოჯახში იყო დაცული. 2015 წლის ივლისში ესკიზი ხელოვნების სასახლის კუთვნილება გახდა. ხელოვნების სასახლის საექსპოზიციო სივრცეში სერგო ქობულაძის ფარდის პირველი ესკიზის ორიგინალიც არის გამოფენილი. იგი მუზეუმში წლების წინ ოპერის თეატრიდან გადაუტანიათ.

ოპერის თეატრის განახლებული შენობის გახსნისათვის მხატვრის უკანასკნელი ესკიზი ქართველმა სპეციალისტებმა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ნაჭერზე გადაიტანეს და ავთენტურობის შენარჩუნების მიზნით მისი დაბეჭდვა გერმანულ კომპანია გერიეტს შეუკვეთეს. პროექტს სამხატვრო აკადემიის პროფესორი ნანა იაშვილი ხელმძღვანელობდა.

ნანა იაშვილი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი, პროექტის კოორდინატორი: მას შემდეგ, რაც გადაწყდა ქობულაძის მიერ შექმნილი ფარდის რეკონსტრუქციის საკითხი, კულტურის მინისტრის მიხეილ გიორგაძის უშუალო ინიციატივით მოხდა პროფესიონალების ჯგუფის შექმნა. მაქსიმალურად მოკლე დროში იქნა მოძიებული მასალა. იმ დროს ხელთ გვექონდა ერთადერთი ესკიზი, რომელიც ხაკისფერ ტონებშია შექმნილი. ჩვენ დავიწყეთ ამ ესკიზის მიხედვით მუშაობა, თუმცა საკმაოდ რთული პროცესი იყო. ესკიზი, რომელიც ხელოვნების სასახლეშია დაცული, ზომით საკმაოდ პატარაა და მისი შესაბამისობაში მოყვანა სცენის რეალურ ზომებთან შეუძლებელი იყო. საბედნიეროდ, 2015 წლის აგვისტოში გამოჩნდა მეორე ესკიზი, უფრო გვიანდელი, რომელზეც სერგო ქობულაძე, მხატვარ ტატიშვილთან ერთად, თეატრში გაჩენილი ხანძრის შემდეგ მუშაობდა. მხატვარი ახალი ფარდის შექმნას ამ ესკიზის მიხედვით აპირებდა, მაგრამ მისი დასრულება ვერ მოასწრო. ეს ესკიზიც ახლა ხელოვნების სასახლეში ინახება და ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია. მოხდა მისი გაწმენდა, დამუშავება და მომზადება ციფრული ვერსიის შესაქმნელად. ჩვენი ამოცანა იყო მომხდარიყო ესკიზის გადატანა ბუნებრივ ტილოზე, მაქსიმალურად ავთენტურად, ქობულაძის ფარდის ანალოგიით.

კომპანია, რომელსაც ქობულაძის ესკიზის პრინტი შეუკვეთეს, ერთადერთია ვინც ამ მასშტაბის შეკვეთებს ასრულებს, ნაკერის გარეშე, მთლიან ზომაში. გერიეტს ეკუთვნის ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის, ვენის შტადს ოპერისა და ლონდონის როიალ ოპერა ჰაუსის ფარდები. ქობულაძის ფარდის ზომები 11,10–17–ზეა, რეპრინტი არაა უბრალოდ ქალაქში დაბეჭდილი პლაკატი, ეს არის ესკიზის შეაბამის ქსოვილზე გადატანილი ზუსტი ასლი, რომელიც ჩარჩოზე გადაიჭიმება. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ქობულაძისეული ფარდა მთავარი ფარდის შემდეგ დაიკიდა და მისი ნახვის საშუალება მაყურებელს ყოველი სპექტაკლის დაწყების წინ ექნება.

Historical curtain in spirit of Sergo Kobuladze is back in theatre. Painted curtain became one of the main symbols of Tbilisi Opera Theatre since 1960. 13 years later, fire completely destroyed it. Sergo Kobuladze began working on curtain sketch soon after burn down but, the job remained unfinished. The final sketch was made by artist's family member IliiaTatishvili and was kept in family belongings. In July 2015, draft became property of Art Palace. In Art Palace exhibition space, first sketch of the original curtain by SergoKobuladze is on show. It was moved to museum from Opera Theatre years ago.

Intended for renovated Opera Theatre opening, artist's latest esquisse was reproduced on fabric by Georgian specialists, using modern technologies. In order to maintain the authenticity, printing of the piece was ordered to German company Gerriets. Head of the project was Professor of Academy of Arts, Nana Iashvili.

Nana Iashvili, a professor at the Academy of Arts, the project coordinator: After Kobuladze's curtain reconstruction was approved, with direct initiative of the Minister of Culture Mikhail Giorgadze, the group of professionals was formed. Materials were collected shortly. At the time we had sole sketch, which is originated in khaki colors. We started working based on this sketch; however, process turned out challenging. Esquisse, which is kept in the Art Palace, is quite small, and its compliance with the actual size of the stage, was impossible. Fortunately, in August 2015, popped up the second, more up-to-date sketch, which Sergo Kobuladze and Tatishvili were working on after the theatre burndown. Artist tried to craft curtain according to this draft, but was unable to complete. This sketch is now kept in the Art Palace in much suitable condition. It was cleaned, processed and prepared for digital version production. Our task was to replicate sketch to natural fabric without losing authenticity, remaining persistent with Kobuladze's curtain.

The company, which printed Kobuladze's esquisse is the only one performing orders of this scale, without stitches, in overall size. New York Metropolitan Museum, Vienna State Opera and London's Royal Opera House curtains belong to Gerriets. Kobuladze's curtain dimensions are 11.10 x17, reprint is not just the printed poster, it is an exact copy of a sketch reproduced on applicable fabric, which later is framed. Kobuladze's curtain will be hanged behind main curtain at Tbilisi Opera and Ballet Theatre and audience will have a chance to see it before the beginning of each performance.

ნინო ანანიაშვილი: „ჩვენ შევინარჩუნეთ ჭაბუკიანის ქორეოგრაფია“



თათია ბუხრაშვილი
By Tatia Bukhrashvili

Nina Ananiashvili: “We preserved Chabukiani’s choreography”

„გორდას“ პრემიერის წინ „არაბესკის“ შეკითხვებს თეატრის საბალეტო დასის ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი პასუხობს
Prior to *Gorda* premiere artistic director of theatre ballet company Nina Ananiashvili responds to *Arabesque* queries

დასრულდა ოპერისა და ბალეტის თეატრის რეკონსტრუქცია. ექვსი წლის შემდეგ, განახლებულ შენობაში, საბალეტო დასი პირველი მასშტაბური პროექტით წარსდგება მაცურებლის წინაშე. ეს იქნება ვახტანგ ჭაბუკიანის ბალეტი „გორდა“, რომლის აღდგენაზე თქვენ მუშაობთ. რატომ შეარჩიეთ ჭაბუკიანის მემკვიდრეობიდან ეს სპექტაკლი?

ჭაბუკიანის მემკვიდრეობის აღდგენა ერთ-ერთ მთავარ მიზნად დავისახე, როცა თბილისში ჩამოვედი და საბალეტო დასს ჩავუდექი სათავეში. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით 2007 წელს გადავდგი, როცა თეატრში „ლაურენსია“ აღვადგინეთ. ეს ბალეტი ჭაბუკიანის შემოქმედებაში მართლაც გამოჩნდა. მინდოდა რეპერტუარში სხვა ბალეტებიც გვექონოდა. ჩვენ ვცდილობთ ჭაბუკიანის არა მხო-

Reconstruction of the Opera and Ballet Theatre is nearly over. After six years, ballet company will present first large-scale project. It will be Vakhtang Chabukiani’s Ballet *Gorda*, on reproduction of which you are currently working. Why was this particular ballet selected from Chabukiani’s artistic heritage?

One of main goals by arrival to Tbilisi and heading Ballet Company was recovery of Chabukiani’s heritage. First step towards it was restoration of ballet *Laurencia* in 2007. This ballet is truly outstanding in Chabukiani’s artistic works. I strived to include other ballets in repertoire. We aspire to access not only ballets but separate choreographic pieces. For example, while preparing for Vera Tsignadze anniversary we ran across video recording on internet from 50’s, where Ms. Vera and Mr. Vakhtang are performing waltz at Moscow Bolshoi Theater. If I am not

ლოდ ბალეტები აღვადგინოთ, არამედ მის მიერ დადგმული ცალკეული ქორეოგრაფიული ნომრებიც მოვიძიოთ. ასე მაგალითად, ვერა წიგნაძის საიუბილეო სალამოსთვის როცა ვემზადებოდით აღმოვაჩინეთ, რომ ინტერნეტში გავრცელდა 50-იანი წლების ჩანაწერი – მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე ქალბატონი ვერა და ბატონი ვახტანგი ასრულებენ ვალსს. თუ არ ვცდები ქართული ხელოვნების დეკადის კონცერტია. როგორც გამოვარკვიეთ, ეს ბატონი ვახტანგის დადგმული ნომერი გახლდათ. ჩვენ აღვადგინეთ ეს ნომერი, მისი მუსიკალური მასალაც თავიდან დავამუშავეთ და ვერა წიგნაძის იუბილეზე ჩიკაგოში მოღვაწე ქართველმა მოცეკვავეებმა – ვიკა ჯაიანმა და თემურ სულუაშვილმა იცეკვეს. ძალიან ლამაზი გამოვიდა. „ლაურენსიას“ გარდა, საბედნიეროდ, კინოფირმა შემოვიგინახა ბატონი ვახტანგის კიდევ ორი ბალეტი – „სინათლე“ და „ოტელო“. მაგრამ, ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ მაინც უფრო გამართლებული იქნებოდა „გორდას“ აღდგენაზე გვეზრუნა. ჯერ ერთი, ეს ბალეტი 90-იან წლებშიც არსებობდა თეატრის რეპერტუარში და იმ თაობის ბალერინებსაც კი აქვთ ნაცეკვი, რომლებიც ახლაც ცეკვავენ. თეატრში მუშაობენ ადამიანები, რომლებიც „გორდას“ ბატონი ვახტანგის დროს ცეკვავდნენ. ამიტომ, შესაძლებელი გახდა თავდაპირველი ქორეოგრაფიული ტექსტის აღდგენაზე გვემუშავა. „გორდასში“ კარგად ჩანს ქართული ეროვნული ხასიათი, ჩვენი რთული და ტრაგიკული ისტორია, პრობლემაც თანადროულია – სიკეთისა და ბოროტის ბრძოლა მუდმივად არსებობს და ყოველთვის იარსებებს, ქორეოგრაფიული ტექსტის დაძლევაც დასისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ამიტომ გადავწყვიტეთ მისი აღგენა და ახალი ქორეოგრაფიული ვერსიის შექმნა. ჩემი ამოცანა გახლდათ მაყურებლისთვის დამებრუნებინა განახლებული, ახლებურად დანახული სპექტაკლი. დადგმა თითქმის დასრულებულია, პრემიერის თარიღი კი, თეატრის გახსნის გადადების გამო, რამდენჯერმე შეიცვალა. მაგრამ ერთი რამ დარწმუნებით შემიძლია გითხრა – „გორდას“ პრემიერა იქნება ოპერისა და ბალეტის განახლებულ თეატრში ჩვენი პირველი საბალეტო წარმოდგენა.



„გორდას“ რეპეტიციამ. ნინო ანანიაშვილი, ეკატერინე შავლიაშვილი (დადგმული ქორეოგრაფის ასისტენტი)
A REHEARSAL FOR GORDA. NINA ANANIASHVILI, EKATERINE SHAVLIASHVILI (ASSISTANT TO STAGING CHOREOGRAPHER)

„გორდას“ ახალმა ვერსიამ რა ცვლილებები განიცადა, რით განსხვავდება იგი ჭაბუკიანის დადგმისგან, ანუ როგორია თქვენეული რედაქცია ამ ბალეტისა?

ექვსი ათეული წლის წინ დადგმული სპექტაკლი ზუსტად იმ ფორმით საინტერესო დღევანდელი მაყურებლისთვის შეიძლება არ აღმოჩნდეს. ამიტომ, გადავწყვიტეთ, გავვეკეთებინა სპექტაკლი, რომელიც იქნებოდა უფრო თანამედროვე. მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ შევცვალეთ ჭაბუკიანის ქორეოგრაფია. ცვლილებები ძირითადად შეეხება სპექტაკლის დინამიკას. თავის დროზე „გორდა“ იყო ოთხმოქმედებიანი სპექტაკლი, მაგრამ დღეს ოთხმოქმედებიანი სპექტაკლის ნახვა რთულია მაყურებლისთვის. ჩვენ გადავწყვიტეთ ახალი სპექტაკლი ორმოქმედებიანი იყოს. შემცირდა ზოგიერთი სცენა, დაიხვეწა დეტალები, სპექტაკლში გამოყენებული იქნება ვიდეო ინსტალაცია, რომელიც ბალეტის ორგანული ნაწილი გახდება. მთავარი აქცენტი გაკეთდება თანამედროვე განათებაზე, რის ფართო საშუალებასაც იძლევა განახლებული სცენის ტექნიკური აღჭურვილობა. „გორდას“ აღდგენაზე მუშაობის დროს ბევრი საინტერესო დეტალი მოვიპოვეთ, ვესაუბრეთ სპექტაკლის ადრინდელ მონაწილეებს, ვიმუშავეთ საარქივო მასალაზე. აღმოჩნდა, რომ თავად ჭაბუკიანი მუდმივად ცდილობდა დაეხვეწა „გორდა“. ბალეტის პრემიერა ოთხჯერ თავად ჭაბუკიანის სიცოცხლეში შედგა, შეიძლება უმნიშვნელოდ, მაგრამ იცვლებოდა ქორეოგრაფიული ტექსტი. 80-იან წლებში სცენოგრაფია და კოსტიუმებიც კი გამოიცვალა. ყველა ეს ინფორმაცია გამოვიყენეთ მუშაობის დროს და ვფიქრობ, ამ დიდმა სამუშაომ სასურველი შედეგი მოგვცა.

ვისთან ერთად მუშაობდით ამ ბალეტის აღდგენაზე? ვის

mistaken, it is concert of Georgian art decade. As we later found out, this piece was staged by Mr. Vakhtang. We recovered this scene, re-processed musical material and Chicago based Georgian dancers Vika Jaiani and Temur Suluashvili performed it at Vera Tsignadze’s anniversary. Performance turned out amazing. Fortunately, recording included Vakhtang’s two more ballets – *Light* and *Otello*. However, after considering options, we decided that recovery of *Gorda* would be most rational selection. Firstly, this ballet was part of theater repertoire in 90’s and ballerinas of that generation are already familiar with it. Thus, opportunity was granted to bring back original choreographic text. *Gorda* shows Georgian national character, our tough and tragic history, together with the problem constant struggle between good and evil. Overcoming choreographic text will not cause any complications to company. Hence, we agreed to recover ballet and create new choreographic version. My mission was to revive performance seen from another perspective. Staging is almost over, but the dates have changed several times due to postponement of theatre opening. But, there is one thing I can say for sure – *Gorda* will be our first ballet performance in the renovated Opera and Ballet Theater.

Did new version of *Gorda* undergo changes? What makes it different from Chabukiani’s version, or in other words, what is your choreographic version of the ballet?

Performance staged 6 decades ago and presented exactly in same manner won’t be engaging for the audience today. I would like to make a contemporary play, but this does not mean that we transformed Chabukiani’s choreography. Changes will mainly affect the dynamics of the performance. At the time, *Gorda* was four-act ballet, but today it is hard for spectator to watch four-act





**კოსტიუმებს და დეკორაციას
იხილავს მაყურებელი „გორ-
დას“ ახალ ვერსიაში?**

საკმაოდ საინტერესო ჯგუფი შეიკრიბა. ბალეტის მომზადებაზე დასთან თითქმის ყველა პედაგოგ-რეპეტიტორი მუშაობს. ჩემთან ერთად მუშაობდნენ ჩემი, როგორც დამდგმელი ქორეოგრაფის ასისტენტები – ლილიანა მითაიშვილი, ლალი კანდელაკი და ეკა შავლიაშვილი. კოსტიუმები ანკა კალატოზიშვილს ეკუთვნის. იგი საინტერესო მხატვარია და თეატრალური კოსტიუმების შექმნის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. ანკა პირველად არ თანამშრომლობს ჩვენთან. მისი პირველი ნამუშევარი თეატრში გახლდათ იური პოსოხოვის ბალეტის – „საგალობელი“ კოსტიუმები. ეს ბალეტი ჩვენი დასის ერთგვარი სავიზიტო ბარათი გახლავთ და უკვე რვა წელია ანშლავით მიდის როგორც აქ, ისე უცხოეთში და ვფიქრობ, ამაში ანკას წვლილი მნიშვნელოვანია. „გორდასთვის“, ჩემი აზრით, ანკამ საინტერესო კოსტიუმები შექმნა. მან საგანგებოდ შეისწავლა ძველი ქართული ჩაცმულობის ისტორია, სხვადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელი კოსტიუმები, თავსაბურავები, აქსესუარები და სხვა დეტალები და ყველაფერი ეს ისე გადაწყვიტა, რომ კოსტიუმები ტრადიციულიც ყოფილიყო და თანამედროვე ელფერიც ჰქონოდა.

სცენოგრაფია დავით მონავარდისაშვილს ეკუთვნის. მას მონუმენტური საბალეტო დეკორაციების შექმნის დიდი გამოცდილება აქვს და ჩემი აზრით საკმაოდ საინტერესო გადაწყვეტა შემოგვთავაზა. ძალიან მასშტაბურია მეფის სასახლე და ხალიფას დარბაზი, ჯავარას სახლი... შეიძლება თითოეული სცენის გამოყოფა ცალკე არ იყოს სწორი, რადგან ეს ერთი მთლიანობაა და ყველაფერი მუსიკას-

performance. We decided to shrink new play to two-acts. Some scenes are shortened, new scenery and costumes are prepared; we want to use video installations. Nonetheless, it will be an organic part of this performance. Renovated stage provides means to use sophisticated technical equipment, so main focus will be made on modern lightning. In the meantime of restoration, we found plenty exciting details, talked to the former participants of the play, worked on the archive material. It turned out that Chabukiani was constantly trying to improve *Gorda*. Ballet premier was held four times in Chabukiani's lifetime; may be insignificant but minor changes were made to choreographic text. Set design and costumes were adjusted in 80's. All this information was applied while working on a ballet and as for me, this tremendous work we proceeded drove us to the desired outcome.

**With whom did you work
together for the reproduction of
the ballet? Whose costumes and
scenery will spectators see in
new version of *Gorda*?**

Interesting group was made up. Almost every tutor works on ballet reproduction with Ballet Company. Together with me, as staging choreographer, Liliانا Mitaishvili, Lali Kandelaki and Eka Shavliashvili are collaborating as reproduction assistants. Anka Kalatozishvili works on costumes. She is impressive artist with considerable experience. It is not the first time she works with us. Her first artistic work was costumes for Yuri Possokhov's *Sagalobeli*. This ballet is performed with success for 8 years in Georgia as well as abroad and I think Anka has greatly contributed. Specially for *Gorda*, Anka studied the history of the old Georgian dress, typical details of the different regions of Georgia – dresses, headgear, accessories, and other details, and designed costumes which are traditional with modern presence.

თან, ქორეოგრაფიასთან და კოსტიუმებთან სინთეზში უნდა დაინახო.

ვინ ასრულებს გორდას, ირემას, მამიას და ჯავარას პარტიებს?

ლალი კანდელაკი და ნუცა ჩეკურაშვილი იცეკვებენ ჯავარას როლს. ირემას პარტიას ნინო სამადაშვილი და ეკა სურმავა შეასრულებენ. მამიას პარტიას ამზადებს დავით ანანიასვილი, ხოლო გორდას პარტიებზე ჩვენი უცხოელი სოლისტები იონენ ტაკანო და ფრენკ ვან ტონგერენი მუშაობენ.

ხომ არ გეგმავთ თქვენ იცეკვოთ ამ ბალეტში?

პრემიერაზე არ ვიცეკვებ, მაგრამ მერე არ გამოვრიცხავ. ყოველ შემთხვევაში ამის დიდი სურვილი მაქვს.

ქალბატონო ნინო, სხვა რა სიახლეებს გეგმავთ განახლებულ სცენაზე შესვლის შემდეგ? ალბათ ეს სცენა და მისი ტექნიკური შესაძლებლობები საშუალებას მოგცემთ განახორციელოთ ახალი საინტერესო დადგმები?

ახალ სცენაზე, „გორდას“ შემდეგ, რამდენიმე პრემიერა თითქმის ერთმანეთის მიყოლებით გვექნება. ჩვენ ამისთვის მთელი წელი ვემზადებოდით. 28 ნოემბერს განახლებულ სცენაზე საბალეტო დასი შევიდა და პირველი გენერალური რეპეტიცია გამართა. თეატრალურ ენაზე ამას ჩაბარებას ვეძახით. პრაქტიკულად კი პრემიერა იყო, დარბაზი სავსე იყო ბალეტის მოყვარულებით, ხელოვნებათმცოდნეებით, ჩვენი პარტნიორებით. წარმოვადგინეთ ირუი კილიანის ოთხი ბალეტი, მათგან ერთი ახლა დაიდგა. ეს გახლავთ „სარაბანდა“. თანამედროვეობის გამოჩენილი ქორეოგრაფის ამ ბალეტის დადგმით კიდევ უფრო გამდიდრდება ჩვენი რეპერტუარი და შესაძლებლობა გვექნება კილიანის ბალეტები ერთ მთლიან პროგრამად წარმოვადგინოთ. პარალელურად ვმუშაობთ „გედების ტბის“ განახლებაზე. ბოლო რედაქცია, რომელიც ალექსეი ფადეჩევი ეკუთვნის, ათი წლის წინ დაიდგა და ქორეოგრაფმა სწორედ ამ რედაქციის განახლება დაგეგმა. „გედების ტბა“ საბალეტო კლასიკაა, რომელსაც ყოველთვის ჰყავს მაყურებელი და გვინდა ამჯერადაც საინტერესო დადგმა ვაჩვენოთ. კიდევ ერთი საინტერესო პროექტისთვის ვემ-

Set design is by David Monavardisashvili. He has extensive experience in setting up monumental ballet decorations. Royal palace, Khalifa Hall and Javara's house are truly large-scale. It may not be accurate to detach single scenes, as it is one integral play in synthesis with the music, choreography and costumes.

The main role was performed by Vakhtang Chabukiani himself. Who will perform *Gorda*, *Irema*, *Mamaia* and *Javara* roles?

Lali Kandelaki will dance the role of the Javara, who has performed it previously. It is first time in *Gorda* for every other soloist. Nutsa Chekurashvili will be Javara as well. Soloists Nino Samadashvili and Eka Surmava are working on *Irema*'s role. *Mamia*'s part is preparing David Ananiashvili, while *Gorda*'s part will be performed by guest soloists Yonen Takano and Frenk Van Tongeren.

Are you considering dancing in the ballet?

I will not dance on a premier day, but I am considering dancing in future. Anyway, I wish to.

Ms Nino, what other novelties are you planning after moving to new stage? Perhaps this scene and its technical capabilities will allow you to make new fascinating performances?

After *Gorda* we will have several premieres in succession. We worked for it all year round. On November 28 Ballet Company got to renovated stage and conducted first dress rehearsal. We call it “pass” in theater. Practically it was premier; theater was full with ballet enthusiasts, art critics, and our partners. We presented four ballets by Jiri Kylian, one of them – *Sarabande* was staged recently. Staging the ballet of outstanding contemporary choreographer will further enrich our repertoire, and we will have the opportunity to present the entire program of Kylian's ballets.. Simultaneously, we are working on the new choreographic version of *Swan Lake*. The last version was staged by Alexei Fadecheev a decade ago and choreographer decided to modify it completely. *Swan Lake* is ballet classic, which always has its spectator



ზადებით – ეს არის ბალეტის ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვანი ქორეოგრაფის მიხეილ ფოკინის ბალეტების საღამო. ჩვენ მისი ორი სპექტაკლი („შოპენიანა“ და „ვარდის ზმანება“) უკვე გვაქვს რეპერტუარში და კიდევ ერთი ცნობილი ბალეტი „ფასკუნჯი“ დაგვემატება. მოგეხსენებათ, ამ ბალეტმა 1900-იანი წლების დასაწყისში, დიაგილევის „რუსული სეზონების“ დროს, ალაფროტოვანა ევროპა. მოკლედ, გეგმები ძალიან საინტერესო და მასშტაბურია. თუ გაითვალისწინებთ, რომ წინ გვაქვს რამდენიმე სერიოზული გასტროლი და თან განახლებულ სცენაზე ადაპტაციას საჭიროებს რეპერტუარში არსებული 60-ზე მეტი სპექტაკლი, ალბათ თავად მიხვდებით რა დიდი სამუშაო გველის წინ. მთავარია თეატრი დროულად გაიხსნას, რომ ამ გეგმების განხორციელების საშუალება მოგვეცეს.

and we wish to present stunning staging this time as well. We got another interesting project ongoing – Ballet program of Mikhail Fokin, truly important choreographer in the history of ballet. We already have two of his performances in our repertoire (*Les Sylphides* and *Le spectre de la rose*) and decided to stage another famous ballet *The Firebird*. As you know, this ballet impressed Monte Carlo in early 1900's, while Diaghilev's Russian Seasons.

In brief, plans are very stimulating and large-scale. If you consider that we have some serious tours preceding and over 60 plays are to be adapted to renovated stage, perhaps you'll guess what a huge amount work is still ahead. Still, most critical is timely opening of the theatre, to allow us to fulfill these plans.

ნინო ანანიაშვილი და დანის სოლისტი
ნუსა ჩეკურაშვილი
NINA ANANIASHVILI, COMPANY SOLOIST
NUTSA CHEKURASHVILI

დავით თორაძის „გორდას“ პრემიერიდან 67 წლის შემდეგ, ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ დადგმული ბალეტი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენას უბრუნდება.

ბალეტის აღდგენას საბალეტო დასის ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი ხელმძღვანელობს. სიმბოლურია, რომ ბალეტის პრემიერა თეატრის შენობის რეკონსტრუქციის შემდეგ, ისევ იმ სცენაზე გაიმართება, სადაც ჭაბუკიანის ყველა ქართული ბალეტი დაიდგა. ქვემოთ გთავაზობთ ბალეტის ლიბრეტოს ავტორის ოთარ ეგაძის წერილს – როგორ იდგმებოდა „გორდა“.

Sixty seven years after Gorda's premiere by Davit Toradze, ballet staged by Vakhtang Chabukiani returns to the stage of Tbilisi Opera and Ballet Theater.

The restoration works are guided by Nino Ananiashvili. It is somewhat symbolic that after reconstruction works ballet premiere will be held on same stage where all Chabukiani's Georgian ballets were staged. See below a piece by Otar Egadze – author of ballet's libretto – how Gorda was staged.

ოთარ ეგაძე

By Otar Egadze

ათი წელი, ორასი სპექტაკლი

Ten Years, Two Hundred Productions

იბეჭდება შემოკლებით. სტილი დაცულია
PRINTED IN SHORTENED VERSION. ORIGINAL STYLE MAINTAINED





1949 წლის 30 დეკემბერს გაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი შემოქმედებით ალმურში იყო გახვეული. იმ საღამოს პირველად მიდიოდა ბალეტი „გორდა“. მართალია, აფიშებს სიტყვა „პრემიერის“ მაგივრად სპექტაკლის „საჯარო განხილვა“ ეწერა, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ სწორედ იმ საღამოს წყდება ახალი ქართული სპექტაკლის ბედი, რომელიც ბევრის აზრით შესაძლოა გაიმარჯვებდა და „მთების გულსა“ და „სინათლეს“ გვერდს დაუმშვენებდა.

სპექტაკლის საჯარო განხილვამდე მრავალი მითქმა-მოთქმა შეიქმნა ამ ბალეტის შესახებ. ერთნი აღტაცებულნი იყვნენ მისი მუსიკითა და ქორეოგრაფიული ენით, მეორენი კი ახალ ბალეტს სკეპტიკურად ხვდებოდნენ, თუმცა ბევრ მათგანს „გორდა“ ნახული და მოსმენილი არ ჰქონდა.

რითი იყო გამოწვეული „გორდაზე“ ასეთი სხვადასხვა შეხედულება? რატომ სჯეროდა თეატრის მეგობართა ერთ ნაწილს

On December 30, 1949, the Zakaria Paliashvili Tbilisi Opera and Ballet State Theatre – bearing the Lenin Medal status – was in creative toil. That evening a new ballet, *Gorda*, was on the bill. Even though the banners read “public discussion” rather than “premiere”, everyone was aware that the fate of the new Georgian production was at stake. Many believed the ballet would be approved and take place alongside with *Heart of the Mountains* and *The Light*.

The piece caused great controversy before of public review. Some were impressed with its score and choreographic language while others felt skeptical, even though many of them had not even seen or heard it once.

What was the reason of the controversy? Why were some of the theatre’s friends so confident about *Gorda* while others – minor but credible group – did not believe its future success?

The differing public expectation was caused by the mixed emotions of the creators of the

„გორდას“ დიდი გამარჯვებისა. ხოლო მეგობართა მეორე, თუმცა მცირე მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევ ნაწილს არ სწამდა მისი მომავალი წარმატება.

საზოგადოების ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო მოლოდინი აიხსნებოდა იმით, რომ ახალი ბალეტის ლიბრეტოზე მუშაობამ დაუკმაყოფილებელი გრძნობა შეუქმნათვით ბალეტის ავტორებს დავით თორაძეს, ვახტანგ ჭაბუკიანს და მათთან ერთად მომუშავე არა ერთ მწერალს, რომლებიც ან ზუსტად მისდევდნენ დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ ქარგას, ან სრულიად სხვა ვარიანტებს თხზავდნენ. ავტორებმა ცვალებადი შემადგენლობით თითქოს მთელ წელიწადს იმუშავეს, მაგრამ იმის

ballet David Toradze, Vakhtang Chabukiani and various authors working on the libretto – based on The Surami Castle by Daniel Tchonkadze – who either based the ballet’s plot precisely according to the original story or advocated for entirely different versions. The group – with changing composition – spent a year at work, but because no libretto acceptable for ballet specifics could be found, the composer could not begin his work on score in earnest while the choreographer had no music for his choreographic language.

The year 1948 was coming to its end and only a year remained until the production’s deadline when Vakhtang Chabukiani and David Toradze offered me a collaboration on a new piece.

This happened on the New Year’s Eve at Chabukiani’s apartment. A toast for a new Georgian production was raised.

–Let’s work together again, – Chabukiani told me.

–It will be a good piece, – Toradze added.

I did not have much time for consideration, although I was aware that the composer and choreographer were very concerned with limiting the plot according to the Surami Castle story, wishing to include all original scenes in the libretto, while I thought using all episodes for a ballet production would not work. But I still did not hesitate to give my answer – almost all distinctive faces of the Georgian ballet were on their feet, ready to join the toast for the decision on the piece.

–Let’s work with one condition: we can use the main story of the original poem – the building of castle – but I need to be free in all other regards, – I said to them and received agreement on the spot. We raised the toast for the success of the new Georgian ballet that was later called Gorda.

There was not much to do the same day, so



გამო, რომ მაინც ვერ შეიქმნა საბალეტო სპეციფიკისთვის მოსარგები მძაფრსიუჟეტიანი ლიბრეტო, კომპოზიტორმა მუსიკის წერას გული ვერ დაუდო და ქორეოგრაფი ცეკვის ენაზე ველარ ამტყველდა.

1948 წელი იწურებოდა. სპექტაკლის განსახორციელებლად კი მხოლოდ ერთი წელი რჩებოდა. ვახტანგ ჭაბუკიანი და დავით თორაძემ ახალ ბალეტზე მუშაობა შემომთავაზეს.

ეს მოხდა ახალწლის ღამეს. ვახტანგ ჭაბუკიანის სახლში წვეულება იყო, რომლის დროსაც მომავალი, ახალი ქართული ბალეტის შექმნის სადღეგრძელოც აიწია.

– ისევ ერთად ვიმუშაოთ – მომმართა ვახტანგ ჭაბუკიანი.

– კარგი ბალეტი გამოგვივა – დაურთო დავით თორაძემ.

მე დაფიქრების დროც არ მქონდა, მაგრამ ვიცოდი რომ კომპოზიტორი და ქორეოგრაფი ძალიან იფარგლებოდნენ თავიანთ ჩანაფიქრში „სურამის ციხის“ სიუჟეტით, მოითხოვდნენ დ. ჭონქაძის მოთხრობის ყველა სიტუაციის შეტანას საბალეტო ლიბრეტოში. ჩემის აზრით კი საბალეტო სპექტაკლისათვის მოთხრობის ყველა ეპიზოდის გამოყენება სასარგებლო არ იქნებოდა. პასუხი მაინც არ დავაყოვნე, ქართული ბალეტის თითქმის ყოველი გამოჩენილი წარმომადგენელი ჭიქით ხელში ზეზე იდგა და ახალი საბალეტო სპექტაკლის ყოფნა-არ ყოფნის საკითხის გადაწყვეტას ელოდა.

– ვიმუშაოთ ერთის პირობით – „სურამის ციხიდან“ გამოვიყენოთ მთავარი, ციხის აგების ლეგენდა. დანარჩენში კი თავისუფალი უნდა ვიყო – მივმართე ვახტანგსა და დავითს და რაკი უმაღლესი თანხმობა მივიღე ახალი ქართული ბალეტის გასამარჯვებელიც შევსვით, რომელსაც მალე „გორდად“ დაბადება ეწერა.

იმ დღეს რალა გაეწყობოდა, ორ იანვარს კი, დღის პირველ საათზე სამივენი შევიკრიბეთ. ძველი ყაიდის პატარა „მოსკვირით“ ვახტანგ



გორდა – ვახტანგ ჭაბუკიანი
GORDA BY VAKHTANG CHABUKIANI



ჭაბუკიანს გაგუარე სახლში და დავით თორაძესაც მივადექით, რომ ქალაქგარეთ გავსულიყავით და მომავალი ლიბრეტოს უკვე ჩაფიქრებული ეპიზოდები გამეცნო.

კომპოზიტორის მეუღლემ, ცნობილმა ქართველმა კინოსახიობმა ლიანა ასათიანმა სახელდახელოდ შეხვეული გემრიელი საუზმე და ცოტა რამ სხვაც ხელჩანთაში ჩავვიწყო და შემოქმედებითი წარმატება გვისურვა. ჩვენი მანქანა დიღმის ფერდობისკენ გაიჭრა. იმ სოფლისაკენ გაემართა, სადაც ვახტანგ ჭაბუკიანს ბავშვობის დღეები გაუტარებია.

იმ წელიწადს ცივი ზამთარი იდგა. დიღმის გზის აღმა, ერთი ძველი ეკლესიის ნანგრევებთან შევჩერდით და გემრიელ საგზაოთან გააღერსების შემდეგ, მომავალი ბალეტის სიუჟეტის მოყოლას შევუდექი. მე ხუროთმოძღვარი, შემდეგში კი უკვე გორდად წოდებული ჭაბუკის გამოჩენით ვიწყებდი პირველ მოქმედებას: გორდა მიუვალ ხევში აღმართულ კლდეზე იდგა და

the three of us got together at midday on January 2. I picked up Chabukiani with my classic Moskvich and then drove to Toradze's apartment with the goal of leaving the city for countryside where I would share with them episodes of the future libretto.

Liana Asatiani – the composer's spouse and a well-known Georgian cinema actress – sent us with breakfast meal and wished us creative success as we drove on to the village where Chabukiani had spent his childhood.

A cold winter was on that year. Taking a break next the Dighomi road, we enjoyed our breakfast next to the remains of an old church before I began narrating the plot of the future ballet. Act one would begin with the young architect, later known as Gorda, appearing on the top of a cliff in an unscalable ravine, sculpting the face of Princess Irema, in a stone. The story developed easily

თავისი სათაყვანო არსების, მეფის ასულ ირემას იერსახეს ჭრიდა ქვაში. სიუჟეტი იოლად განვითარდა. აღმაფრენითა და მზის სინათლით აღსავსე სცენა გრძობათა დიდი ჭიდილითა და ბუნების განრისხებით მთავრდებოდა. ამ სცენას, როგორც მეწარმომედგინა, მაცურებელი თავიდანვე ხელში უნდა აეყვანა.

ვ. ჭაბუკიანი კმაყოფილი იყო. იგი ცალი ხელით ჰაერში რაღაცას ხატავდა და მარჯვენა ფეხით უხილავ რამეს ქარგავდა. დ. თორაძე ჩაფიქრებული ღიღინებდა და ალბათ იმ მომავალ ჭექა-ქუხილის მუსიკალურ მელოდიას ანვითარებდა, რომელიც ასე ძლიერად აჟღერდა პირველსავე მოქმედებაში.

ჩვენი პირველი შემოქმედებითი რეისი კეთილად დასრულდა. ის მყუდრო ადგილი მოგვეწონა და პირობა დავდეთ მეორე შეკრებაც სწორედ იქ შემდგარიყო. მით უფრო რომ გალაგნის ნანგრევები ჯავარას მომავალი საკანის განწყობილებას მიქმნიდა. დაჩვეულს ნუ გადააჩვევ, – ალბათ ამ ქართული გამოთქმის სიბრძნეს მისდევდა ლიანა ასათიანი, რომ მეორე დღეს, როცა მე ისევ ვახტანგს ვავუარე და მერე დავით თორაძის სახლსაც მივადექი, დიასახლისმა თავისი მეგობარი კარებამდე გამოაცილა და როგორც გუშინ ახლაც რაღაც გამოატანა. დავითმა მზრუნველად ჩაავლო ხელი თეთრად გამოკრულ საგბალს და ჩვენც უმაღ ვიგრძენით, რომ გუშინ კარგად დაცდილი დიასახლისის ნახელარი ამჯერადაც ერთსულოვან შემოქმედებით წარმატებას მოგვითანდა.

ასე გაგრძელდა ჩვენი მოგზაურობა თბილისიდან დიღმის ნანგრევებამდე, სანამ გორდას ლიბრეტო საბოლოოდ არ ჩამოიქნა. ერთი კვირის შემდეგ მანქანაზე გადაბეჭდილი ლიბრეტო უკვე მუსიკალურ სულს იდგამდა კომპოზიტორის როიალთან და ქორეოგრაფიულ ხორცს ისხამდა თეატრის სარეპეტიციო დარბაზში.

ბალეტის კოლექტივი ხალისით მუშაობდა ახალი სპექტაკლის ეპიზოდებზე. ვახტანგ ჭაბუკიანი ისე იოლად თხზავდა კორდებალეტისა და სოლისტების თვალწინ მკაფიოდ გამოხატული აზრის გადმომცემ



with the creative inspiration and light and ended with a struggle of emotions and a display of natural phenomena. I envisioned the scene capturing the audience from the very beginning.

Chabukiani looked happy, painting a vision in the air with his hand and using his right foot to embroider a picture unseen for us. Toradze hummed thoughtfully, probably setting up the melody for the thunder flash scene that later sounded so powerfully in the act one.

Our first creative trip was a success. We liked the cozy spot we had found, and decided to hold the second meeting at the same place, especially as the remains of the wall helped my imagination for the upcoming Javara cell scene. The Georgian saying “A habit is to be helped along” was probably on Liana Asatiani’s mind the next day when she sent us with another pack of meal which David took great care of and

სიუჟეტის მომთხრობ ცეკვებს, თითქოს ხელში კალამი უჭირავს და უკვე განცდილი, წარმოსახული და ჩამოყალიბებული ქალაქდღე გადმოაქვსო.

რეპეტიციებზე დამსწრეები, ბუნებრივია ვერ ფარავდნენ ქორეოგრაფისა და კომპოზიტორის შთაგონებით გატაცებას. ჩუმრუმ და ალტაცებით უყვებოდნენ ნაცნობ – მეგობრებს ახალი ბალეტის ცალკეულ ეპიზოდებზე, მოსალოდნელ შემოქმედებით გამარჯვებაზე. მაგრამ რაკი ჭაბუკიანი და თორაძე შეგნებულად სდუმდნენ ბალეტის მოსალოდნელ წარმატებაზე, თეატრის მოყვარულთა ფართო ფენები იჭვიანი დუმილით ელოდნენ „გორდას“ სცენაზე გამოტანას.

– რა გამოვა? – ამბობდნენ ისინი. აი, ამიტომ იყო, რომ სრული ერთი წლის შემდეგ, ისევ ახალი წლის წინა ღამეს თბილისის საზოგადოებრიობა მღელვარებითა და დაძაბული ინტერესით შეხვდა „გორდას“ პირველ განხილვას.

სპექტაკლი დასრულდა. დარბაზი ოვაციებით შეეგება მონაწილეებს. უკვე ცხადი გახდა, რომ „გორდამ“ გაიმარჯვა. მოცეკვავეები ალტაცებით ეხვეოდნენ კომპოზიტორსა და ბალეტმისტერს, გორდას იერსახის შემქმნელსა და პირველ შემსრულებელს ვახტანგ ჭაბუკიანს, რომელმაც ორი წლის წინათ ასეთივე ბრწყინვალეობით გამოკვეთა ავთანდილის იერსახეც ბალეტ „სინათლეში“.

ხალხი დიდხანს არ სტოვებდა დარბაზს. მუსიკის, ქორეოგრაფისა და თეატრის

we felt it would bring us more creative success.

This is how our travels from Tbilisi to Dighomi ruins continued until the Gorda libretto was finalized. In a week's time, a printed version was already given musical substance by the composer and choreographic shape in the theatre's rehearsal class.

The crew had great fun working on the new production's episodes. Chabukiani seemed so at ease while showing corps de ballet and soloists the dances of the plot that one would be left with impression that he was holding a pen to transform ideas already imagined to a paper.

Those attending rehearsals were naturally impressed with the inspiration shown by the choreographer and the composer, and would tell their relatives about certain episodes of the piece and their expectations of its success, although as Chabukiani and Toradze remained silent on the production, many theatre-goers were left with suspicious anticipation of the ballet.

– What will it be like? – was their thought. This is why, a full year later, on the New Year's Eve, Tbilisi public met the first discussion of the piece with excitement and tense interest.

The performance was followed by an ovation that left no doubts about the success



თამარ ჭაბუკიანი
TAMAR CHABUKIANI

ვერა წიგნაძე
VERA TSGHADZE



სპეციალისტებთან ერთად ვინც იმ დღეს „გორდას“ პირველ წარმოდგენას ესწრებოდა, თეატრის დირექტორის პავლე კანდელაკის კაბინეტში შეგროვდნენ, რომ უკვე განცდილი და აღქმული უფრო დამშვიდებით ჩამოეყალიბებინათ და თუ სარჩევი და შესახსენებელი რამე ჰქონდათ ამთავითვე ერჩიათ და ეთქვათ.

მაგრამ სპექტაკლის გარჩევა-მიღება დიდხანს არ გაგრძელდა. ყველამ აღიარა „გორდას“ დრამატურგიული, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ღირსებანი. თუმცა იყვნენ ისეთნიც, რომლებიც უცებ ვერ ჩაწვდნენ ქართული ნაციონალური ბალეტის თავისებურებას და გაუმართლებლად მიიჩნიეს კლასიკურ ცეკვაში ქართული ხალხური ილეთების ჩართვა. მათი თვალი და ყური მიუჩვეველი იყო ამგვარ სიახლეს. მაგრამ ეს მოხდებოდა მხოლოდ გარკვეული დროის თვეებისა და წლების შემდეგ. რამდენ ხანს გასძლებდა „გორდა“ სცენაზე, ძნელი იყო ამის თქმა, მაგრამ ის კი იგრძნობოდა, რომ არ მოიხსნებოდა. ნიჭიერი კომპოზიტორის დ. თორაძის სახოვანი და ფერადოვანი, ქართულ მელოდიაზე დაფუძნებული მუსიკა ამის თავდები იყო. ქორეოგრაფის უბადლო შემოქმედის, განუმეორებელი მოცეკვავისა და ფანტაზიის მქონე ბალეტ-მაისტერის ვახტანგ ჭაბუკიანის საცეკვაო ენით თხრობის უნარი კი „გორდას“ გამარჯვების საწინდარი იყო.

of Gorda. The dancers were embracing the composer and Chabukiani – the ballet master, creator and first performer of the piece who had managed to craft the character of Avtandil in *The Light* with the same brilliance two years before.

The audience did not leave the theatre for some time. The cabinet of Theatre Director Pavle Kandelaki saw a gathering of music, choreography and theatre experts to discuss the experience in a more clear-minded atmosphere and come up with possible suggestions.

But the discussion did not last long. All attendees admitted the composition, musical and choreographic qualities of Gorda. There were some who considered using elements of the Georgian folk dance elements in an excess, as they had not been used to seeing such novelty. It was difficult to predict how long Gorda would maintain the audience's interest, however it was clear it would not be removed by an administrative decision. This was determined by Toradze's colorful music – based on Georgian melodies – as well as the story-telling talent by the incomparable dancer and creator, the piece's ballet master Chabukiani.

ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“
1959 წ. #11

Soviet Art magazine,
Issue 11, 1959



დომენიკო მოდუნოს სახელობის საერთაშორისო საბალეტო ფესტივალი იტალიის ქალაქ ბარიში 25-29 მარტს გაიმართა, რომელშიც თეატრის საბალეტო დასის წევრები, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გაემგზავრნენ. დასის სოლისტებმა ეკატერინე სურმავეამ და ფილიპ ფედულოვმა ორი პირველი პრემია მიიღეს კლასიკური პა დე დეს და თანამედროვე დუეტის კატეგორიებში.

სოლო გამოსვლების ნომინაციაში მეორე და მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს ვ. ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეებმა ნინო ხახუტაშვილმა და სალომე ლევერაშვილმა. ჯგუფურ ნომინაციაში კი სასწავლებლის მოსწავლეები მეორე ადგილზე გავიდნენ.

ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეებმა იტალიის შემდეგ რუმინეთში, ქალაქ ტიმოშუარაში, ქორეოგრაფ ვალენტინ ბარტესის მიერ დადგმულ სპექტაკლში – „ამაო სიფრთხილზე“ მიიღეს მონაწილეობა.

გამარჯვებული მოცეკვავეები საქართველოში დაბრუნების შემდეგ 15 აპრილს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში მიიღეს. მათ გამარჯვება მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ მიულოცა.

მიხეილ გიორგაძე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი: ჩვენ მოხარული ვართ, რომ კიდევ ერთ წარმატებაზე ვსაუბრობთ, რომელიც თბილისის ოპერის თეატრის საბალეტო დასის წევრებმა და ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეებმა მოიპოვეს იტალიაში გამართულ საერთაშორისო კონკურსზე. ძალიან მიხარია მათი ეს წარმატება და ჩვენს ახალგაზრდა მოცეკვავეებს კიდევ ბევრ გამარჯვებას ვუსურვებთ!

ნინო ანანიაშვილი, ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი: ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ეს უკვე მერვე კონკურსია, სადაც ჩვენი დასის და სასწავლებლის მოსწავლეები გამოვიდნენ და დიდ წარმატებებს მიაღწიეს. მოხარული ვარ, რომ ჩვენი ახალი თაობა ღირსეულად იწყებს თავის შემოქმედებით მოღვაწეობას.

ეკატერინე სურმავეა, საბალეტო დასის სოლისტი: კონკურსში პირველად ვმონაწილეობდი და სიმართლე გითხრათ არ მოველოდი ასეთ წარმატებას. მე ვიყავი ჩემი ქვეყნის და ქართული საბალეტო დასის წარმომადგენელი, ამიტომ პასუხისმგებლობა ორმაგად დიდი მქონდა. ჩემ პარტნიორთან – ფილიპ ფედულოვთან ერთად შევეცადეთ მაქსიმალურად გავეკეთებინა ყველაფერი, რომ სასურველი შედეგი მიგველო. დიდი მადლობა ქალბატონ ნინო ანანიაშვილს, რომ მოგვცა საშუალება ასეთ კონკურსში მიგველო მონაწილეობა.

ლარისა ჩხიკვიშვილი, ქორეოგრაფიული სასწავლებლის პედაგოგი: რთული კონკურსი იყო და ამის მიუხედავად, ჩვენმა მოსწავლეებმა მაქსიმალურად მოინდომეს. გვიხარია, რომ ჩვენი სასწავლებელი და ჩვენი ქვეყანა ღირსეულად წარმოვადგინეთ.

გელა ბედიაშვილის ფოტო

Domenico Modugno International Ballet Competition was held on 25-29 March, in Bari, Italy. With the support of Ministry of culture and Monument Protection of Georgia, Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet State Theatre company members also took part in competition. Company soloists Ekaterine Surmava and Phillip Fedulov won awards in classical pas de deux and contemporary duet dances.

In solo parts, Vakhtang Chabukiani Tbilisi Ballet Art State School students Nino Khakhutashvili and Salome Laverashvili gained second and third place awards. In group contest, students got second places. Georgian dancers were invited to participate in gala concert, in Japan.

After tour in Italy, Vakhtang Chabukiani ballet school students traveled to Timisoara, Romania, where they participated in ballet La fille mal gardee, staged by Valentin Bartes and received spectator's great admiration.



On April 15, dancers returned to Georgia and were invited to Ministry of Culture and Monument Protection of Georgia. Minister, Mikheil Giorgadze, congratulated them with success.

Mikeil Giorgadze, Minister of Culture and Monument Protection of Georgia: We are pleased with one more success achieved by Tbilisi Opera and Ballet Theatre Company and Vakhtang Chabukiani ballet school students at international competition, held in Italy. I am truly glad with their achievement and wish them countless further victories!

Nina Ananiashvili, Ballet Artistic Director: For the period of five years, this is the 8th competition where our company soloists and ballet school students took part and attained great success. I am proud that our new generation begins its artistic efforts with excellence.

Ekaterine Surmava, Ballet company soloist: This was the first time I participated in such competition, and honestly to say, I did not expect this much success. I represented my ballet company and my country, thus I had twice more accountability. I tried my best, together with my partner Philip Fedulov. Thanks to Ms. Nina Ananiashvili, who offered us an opportunity to join this competition.

Larisa Chkhikvishvili, Ballet school tutor: This was tough competition, but our students did their best. We are happy to present our country with dignity.


Photo by Gela Bedianashvili

თეატრის გასტროლი ყაზახეთში

ასტანაში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გასტროლი გაიმართა. ოპერის სოლიტებთან ერთად სამეიმო სალამოში საბალეტო დასიც მონაწილეობდა. ყაზახეთის დედაქალაქში 29 მაისს ერთმომქმედებიანი ბალეტი „საგალობელი“ იქნა წარმოდგენილი.

TOUR TO KAZAKHSTAN

Regarding Independence Day of Georgia, Tbilisi Opera and Ballet Theatre tour was organized to Astana. Together with opera soloists, ballet company soloists took part as well; one act ballet Sagalobeli was presented in Astana, on May 29.



ელენე გლურჯიძე ქორეოგრაფიულ სასწავლებელში

ლონდონში მოღვაწე ქართველი პრიმა-ბალერინა ელენე გლურჯიძე ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიულ სასწავლებელს ეწვია. შეხვედრაზე პრიმა-ბალერინას სასწავლებლის აღსაზრდელებმა საკუთარი შემოქმედება წარუდგინეს.

საბალეტო ხელოვნების შესწავლა ელენე გლურჯიძემ სწორედ ამ სასწავლებელში დაიწყო, სადაც დღეს 360 მოსწავლე სწავლობს. „აქ ისე მოვედივარ, როგორც ჩემ სახლში და ჩემთვის ეს შეხვედრა ძალიან ბევრს ნიშნავს. მიხარია სასწავლებლის მოსწავლეთა მომზადების ასეთი მაღალი დონე“ – თქვა შეხვედრაზე ბალერინამ.

ELENE GLURJIDZE AT CHOROGRAPHICAL SCHOOL

London-based Georgian prima-ballerina Elene Glurjidze visited Vakhtang Chabukiani choreographic school. At the meeting, students of the school performed their works for prima-ballerina.

Elene Glurjidze got enrolled in ballet art at this school, which now counts 360 students. “This is my school; here I learned ballet moves, here I feel myself home and this meeting means a lot to me. I am glad to see high level of competence and training among students.”

ვახტანგ ჭაბუკიანის 105 წლის იუბილე



ვახტანგ ჭაბუკიანის 105 წლის იუბილე აღინიშნა 27 თებერვალს ხელოვნების სასახლეში. ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეებმა სპეციალური საკონცერტო პროგრამა შესთავაზეს მუზეუმში შეკრებილ ბალეტის მოყვარულებს. მუზეუმში გამოფენილი იყო ჭაბუკიანის მოღვაწეობის ამსახველი ფოტოები.

გიორგი კალანდია, თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმის დირექტორი: „მოხარული ვართ, რომ ჩვენი მუზეუმი მასპინძლობს ვახტანგ ჭაბუკიანის იუბილეს. ჩვენთან ამ დიდი მოღვაწის მნიშვნელოვანი არქივია დაცული და სწორედ ქორეოგრაფიის მუზეუმში არის ის ადგილი, სადაც ასეთი გენიალური პიროვნებებისადმი პატივის მიგება უნდა ხდებოდეს. ამიტომ, სიამოვნებით დავეთანხმეთ ქალბატონი ნინო ანანიაშვილის წინადადებას იუბილეს გამართვის შესახებ“.

VAKHTANG CHABUKIANI 105TH ANNIVERSARY

On February 27, Vakhtang Chabukiani’s 105th anniversary was held at art palace. Vakhtang Chabukiani Tbilisi Ballet Art State School students performed special program for ballet amateurs and admirers of great ballet dancer. Nina Ananiashvili took part in performance as well. Museum exhibited photos reflecting Chabukiani’s artistic life.

Giorgi Kalandia, Director of theatre, cinema, music and choreography museum: “We are happy that our museum is hosting Vakhtang Chabukiani’s anniversary. We have significant archive of this outstanding artist and choreographical museum is exactly the place where honor should be given to genius person. Therefore, we eagerly agreed with Nino Ananiashvili’s idea of celebrating anniversary here.”

სიმფონია დო მაჟორი Symphony in C

ილია თავბერიძე
By Ilia Tavberidze

ბიზეს სიმფონიაზე ბალეტის დადგმის იდეა ბალანჩინს, როგორც ცნობილია, პარიზის გრანდ ოპერაში რეპეტიციების დროს გაუჩნდა. 1947 წელს ქორეოგრაფი პარიზის ოპერის ბალეტმაისტერად მიიწვიეს და მისი რამდენიმე ბალეტის დადგმა შესთავაზეს. შეთანხმებული „სერენადას“, „აპოლონ მუსაგეტის“ და „ფერიას ამბორის“ გარდა მას უნდოდა ამ თეატრში ახალი ბალეტი შეექმნა, რომელიც გრანდ ოპერის დიდებულების შესატყვისი იქნებოდა. სახელწოდებაც მეტაფორულად შეარჩია – „ბროლის სასახლე“ („სიმფონია დო მაჟორი“ ბალეტს უკვე ნიუ-იორკის პრემიერის შემდეგ ეწოდა). დღესაც ბალეტი პარიზის ოპერის თეატრის ავტორტრეტად მიაჩნიათ, მის ერთგვარ იმიჯად, მისი ბრწყინვალეებისა და პომპეზური სტილის გამომხატველად.

It is said that, the idea of staging ballet based on symphony came to Balanchine's mind while rehearsal at Paris Grand Opera. In 1947 choreographer was invited to Opera Garnier as a ballet master. Apart from agreed ballets *Serenade*, *Apollo* and *Le baiser de la fée*, he strived to create ballet which would perfectly match the majestic spirit of Grand Opera. Name – Crystal Palace was selected figuratively (name was changed to Symphony in C only after New York premiere). Even nowadays ballet is regarded as auto portrait of Paris Opera Theatre, icon of its pomp and brilliance.



„სიმფონია დო მაჟორის“ თბილისში დადგმის გადაწყვეტილება თავიდანვე შეიცავდა ერთგვარ რისკს. ბალანჩინის შემოქმედებით მემკვიდრეობაში იგი ერთ-ერთ ყველაზე რთულად შესასრულებელ ბალეტად ითვლება. მის ცეკვას კი მრავალრიცხოვანი საბალეტო დასის შესაძლებლობები სჭირდება. მაგრამ, როცა დადგმა გადაწყდა, მხედველობაში უპირველესად ის გარემოება იქნა მიღებული, რომ თბილისის ოპერის თეატრის გახსნითი გალა საღამოსთვის ამ ბალეტის ფერადოვნება და დიდებულიება ნამდვილად სასიამოვნო საჩუქარი იქნებოდა მაყურებლისთვის. მაგრამ, თეატრის გახსნა გადაიდო და დასის ხელმძღვანელობაც ერთგვარი დილემის წინაშე აღმოჩნდა – ბალანჩინის ფონდთან მოლაპარაკებები უკვე დასრულებული იყო. ალბათ, ამ რისკის გაწევა ღირდა. ახალი 164-ე სეზონის გახსნაც ამ ბალეტის პრემიერით დაიგეგმა („სიმფონია დო მაჟორის“ დადგმაზე საბალეტო დასთან ბალანჩინის ფონდის ბალეტმაისტერი ბენ ჰეისი მუშაობდა).

თბილისის საკონცერტო დარბაზში, 9 ოქტომბერს, სეზონის გახსნისადმი მიძღვნილ საღამოზე, „სიმფონია დო მაჟორში“ თითქმის მთელი დასი ცეკვავდა, რადგან თავად ბალანჩინის მიერ ბალეტისთვის მოფიქრებული სტრუქტურა ასეა განსაზღვრული – ბალეტის ოთხივე ნაწილის ცენტრში ბალერინა და მისი პარტნიორი მოცეკვავე მამაკაცი დგას, უკან კი – კორდებალეტი, რომლებიც ფინალურ ნაწილში ერთიანდებიან.

როგორც ცნობილია, რეპეტიციებზე ჯორჯ ბალანჩინს არ უყვარდა საუბარი. იგი ძირითადად აჩვენებდა მოძრაობებს, რაც ყოველთვის ხიბლავდა მოცეკვავეებს, გამონათქვამებს კი იშვიათად იშველიებდა. მათგან ბევრი რამ „ნიუ იორკ სითი ბალეს“ მოცეკვავეთა მოგონებებშია აღნიშნული, სადაც ჩანს ბალანჩინის ხედვა და ჩანაფიქრი, მისი ქორეოგ-

Staging *Symphony in C* was considered as tricky decision from the beginning. It is one of the most difficult ballets in Balanchine’s artistic heritage and requires huge effort and skills from Ballet Company. However, presenting this flashy and magnificent ballet for the Gala Opening of Tbilisi Opera Theatre would be thrilling gift for our spectators. Nonetheless, theatre opening was postponed and ballet administration faced obstacle – negotiations with Balanchine Fund were already over. Perhaps, risk-taking was rational. It was agreed to present premiere of this ballet for new , 164th ballet season opening (Balanchine Fund ballet master Ben Huys was working with the ballet company on staging *Symphony in C*).

Almost all company members participated in season opening performance, *Symphony in C* at concert hall , on 9th October, following structure requirements set up by Balanchine; ballerinas with their male partners were positioned at all four central parts of the ballet, with corps de ballet in the back, who unite in the final part.

As it is known, George Balanchine disliked talking while rehearsals. He mainly showed moves and hardly used phrases to express himself, what impressed dancers. *New York City Ballet* dancers recall many memories related to Balanchine’s ideas, fragments of his choreography, explanation of roles and assessment.

John Clifford , former dancer of Balanchine , recalls that once Balanchine referred to adagio of second part of Bizet’s symphony as “Moon Dance”, and compared final scene of adagio, where ballerina gracefully stretches across the arms of male dancer, with movement of moon on dome of heaven.



ნუცა ჩიქურაშვილი და იონენ ტაკანო
NUTSA CHEKURASHVILI, YONEN TAKANO



ნინო სამადაშვილი და დავით ანანიასვილი
NINO SAMADASHVILI, DAVID ANANIASHVILI





დირიჟორი დავით მუჰერია, დავით ანანიაშვილი, დახმობელი ქორეოგრაფი ბენ ჰუისი, ნინო სამადაშვილი პრემიერის შემდეგ

CONDUCTOR
DAVID MUKERIA,
DAVID ANANIASHVILI,
STAGING
CHOREOGRAPHER
BEN HUYS,
NINO SAMADASHVILI
AFTER THE PREMIERE

რაფის ამა თუ იმ ფრაგმენტის, ამა თუ იმ როლის ახსნა და შეფასება.

ჯონ კლიფორდი, ბალანჩინის დასის ყოფილი მოცეკვავე, იგონებს, რომ ერთხელ ბალანჩინმა ბიზეს სიმფონიის მეორე ნაწილის ადაჯიო მოიხსენია როგორც „მთვარის ცეკვა“, ადაჯიოს ფინალური სცენა კი, სადაც სოლისტი მამაკაცის მკლავზე ბალერინა ულამაზესად გადაიშლება — მთვარის მოძრაობას შეადარა ცის კამარაზე.

შემთხვევითი არაა, რომ ბალეტის მეორე ნაწილს მისტერ ბი მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა და ახლაც, ყოველთვის აღინიშნება მისი განსაკუთრებულობა. ადაჯიო ერთგვარი ცენტრია — ბიზეს სიმფონიის ყველაზე შთამბეჭდავი მუსიკალური ნაწილი და ერთ-ერთი გამორჩეული ქორეოგრაფიული დუეტი ბალეტში. პარიზულ პრემიერაზე იგი თამარა თუმანოვამ იცეკვა, ნიუ-იორკში კი — ტანაკილ ლეკლერკმა. ერთიც და მეორეც ბალანჩინის იმ ბალერინებს შორის იყო, რომლებიც მას განსაკუთრებულად უყვარდა. მაგრამ თუ მეორე ნაწილი ამ ბალეტის ქორეოგრაფიული ტექსტის ღერძად ითვლება, ლოგიკურად მასზე გადასვლა პირველი კლასიკური ნაწილის ქორეოგრაფიული ტექსტიდან ხდება.

ჩვენც უმჯობესია თანმიმდევრობით მივყვეთ. „სიმფონია დო მაჟორის“

პირველი ჩქარი ნაწილი ტექნიკურად ძლიერად შეასრულეს ლალი კანდელაკმა და ფრენკ ვან ტონგენერმა. კანდელაკის შესრულებას გამოარჩევდა დახვეწილი მოძრაობები. მეორე ნაწილში ნინო სამადაშვილს და დავით ანანიაშვილს მოუხდათ დაეძლიათ ბალანჩინის ურთულესი ქორეოგრაფიული ტექსტი, რომლის კულმინაცია არაბესკი პანშე — პარტნიორზე დაყრდნობილი ბალერინა ზემოთ ვერტიკალურად გამართული ფეხით, რომელიც თითქოს მშვენიერების უმაღლეს მწვერვალს აღწევს. ულამაზესი ადაჯიოს ლოგიკური გაგრძელება იყო შემდეგი დუეტი — ნუსა ჩეკურაშვილის და იონენ ტაკანოს ახალგაზრდული, ენერგიული და სინქრონული შესრულებით.

და ბოლოს, ფინალური, მეოთხე ნაწილის დროს დასის ახალგაზრდა სოლისტმა მაჩი მუტომ სცენაზე შემოიკრიბა ქორეოგრაფიული სიმფონიის ყველა მონაწილე, სოლისტები და მათი თანმხლები ანსამბლი, რომლებმაც მაქსიმალური ენერგია შემოიტანეს სცენაზე და მონდომებულად იცეკვეს, რომ ბალანჩინის ბალეტის გრანდიოზული კოდა მთელი თავისი სიდიადით ეჩვენებინათ მაყურებლისთვის. და როცა ფინალურ სცენაში 48 მოცეკვავე გაერთიანდა სცენაზე და ამ ბალეტის ყველაზე ემოციური ნაწილის შესრულება დაასრულა, ცხადი გახდა, რომ საპრემიერო სპექტაკლი შედგა.

It is no coincidence that Mr. B pays significant attention to the second part of the ballet, and always highlights its uniqueness. Adagio is a center — the most impressive part of Bizet's symphony music and one of the most distinctive choreographic duo. Tamara Tumanova performed it at premiere in Paris, in New York — Tanaquil le Clercq. Both ballerinas were among those who were notably adored by Balanchine. But if the second part of the ballet dance is considered as the core of the text, logically, it shall pass through first classical part.

Let us follow the sequence. The first rapid part of Symphony in C was technically strongly performed by Lali Kandelaki and Frank von Tongeren. Kandelaki's performance was accompanied by traditional, linear, elegant movements. In the second part Nino Samadashvili and David Ananiashvili had to overcome Balanchine's extremely challenging choreographic text, which is culminated by Arabesque penché — ballerina leaned on a partner with vertically straightened leg, which looks as if is to reach the highest peak. The next logical extension of the gorgeous Adagio was in step duet performance of Nutsa Chekurashvili and Yonen Takano.

Finally, at the end of the fourth and closing part of the ballet, young soloist Machi Muto gathered all participants of choreographic symphony on stage — soloists and their accompanying ensemble, who brought maximum energy on stage and made every effort to bring Balanchine's ballet with all its splendor and glory to spectators. And in final part, where all 48 dancers appeared on stage and most emotional part was over, it became clear that premiere triumphed.

ვარდის ზმანება

Le Spectre de la rose

„ვარდის ზმანება“, მიხეილ ფოკინის ერთმოქმედებიანი ბალეტი, სულ რაღაც ათი წუთი გრძელდება. ქორეოგრაფმა ბალეტი კარლ მარია ფონ ვებერის საფორტეპიანო პიესაზე („ცეკვაზე მიწვევა“)

სპეციალურად თამარა კარსავინასა და ვაცლავ ნიჟინსკისათვის დადგა. ბალეტის პრემიერამ ტრიუმფით ჩაიარა დიაგილევის „რუსული სეზონების“ პროგრამით მონტე-კარლოში 1911 წელს.

„ვარდის ზმანების“ სიუჟეტი ბანალური და მარტივია: მეჯლისიდან დაბრუნ-

Michael Fokin's one act ballet lasts for just ten minutes. Choreographer staged ballet on Carl Maria von Weber's piano piece (Invitation to the dance) specifically for Tamara Karsavina and Vaclav Nizhinski. Ballet premiere was carried out with triumph at Diaghilev's Russian season program in Monte Carlo in 1911.

asleep in an couch. Spirit of the rose comes into chamber window view and dances with the sleeping girl. Dance finishes with the first sunray and young man – spirit of the rose leaves his lover and disappears to the garden with a single jump. Awakened girl finds rose on her knees and smilesto her beautiful dream.

Ballet seemed forgotten for a long time and was not staged any longer. As one of the

Ballet story is commonplace and simple: A young girl returns from the ball, shadowed by emotion of meeting, with chirping sound of music in her ears and breathes in the scent of presented rose... Pleasurably tired she falls



ნებულ ახალგაზრდა გოგონას თან მოყვება შეხვედრის ემოცია, ჩაესმის მუსიკის ხმა და მისთვის ნაჩუქარი ვარდის სურნელით სუნთქავს... სასიამოვნოდ დალილს სავარძელში ჩაეძინება. ოთახის სარკმელში ვარდის აჩრდილი შემოდის, რომელიც მძინარე გოგონასთან ცეკვავს. მზის პირველ სხივთან ერთად ცეკვა სრულდება და ჭაბუკი-ვარდის აჩრდილი ტოვებს თავის შეყვარებულს და ბაღში გაუჩინარდება. გაღვიძებულ გოგონას მუხლზე ვარდის ხვდება და უღიმის საკუთარ მშვენიერ სიზმარს.

დიდი ხნის განმავლობაში ბალეტი თითქოს მივიწყებული იყო და აღარ იდგმებოდა. როგორც საბალეტო კლასიკური მეგვიდრეობის ერთ-ერთი შედეგური „ვარდის ზმანება“ მეოცე საუკუნის 60-იან წლებში იქნა აღდგენილი.

რამდენჯერმე იგი ნინო ანანიაშვილმა ანდრი ლიეპასთან ერთად შეასრულა.

„ვარდის ზმანების“ პრემიერა 9 ოქტომბერს, 164-ე სეზონის გახსნის საღამოზე შედგა. პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი (ახალგაზრდა გოგონა) დასის ახალგაზრდა სოლისტთან იონენ ტაკანოსთან (ვარდის აჩრდილი) ერთად ცეკვავდა.

ფოკინი წერდა, რომ მამაკაცი მოცეკვავის ვარაუცია ეს – სულია, ოცნებაა, ვარდის არომატია, ის არ არის პარტნიორი, კავალერი. არც მისი ხელების მოძრაობა არ შექმნილა ძველი კლასიკური ბალეტის წესების მიხედვით. ეს ხელები მღერიან, საუბრობენ...

ტაკანო საკმაოდ ახალგაზრდა სოლისტია, დახვეწილი მანერებით და კარგი ტექნიკური შესაძლებლობებით. მისთვის

ამ ბალეტში ნინო ანანიაშვილთან ერთად გამოსვლა საკმაოდ რთული გამოწვევა იყო. შესრულების ტექნიკის და ქორეოგრაფიული ტექსტის სიზუსტის თვალსაზრისით მას შეცდომები თითქმის არ ჰქონია. თუმცა ეტყობოდა შინაგანი ლეღვა, რაც ფინალური სცენისკენ გამოასწორა და საკმაოდ ენერგიული ნახტომით დატოვა სცენა.

„ვარდის ზმანება“ იმ პროექტის შემადგენელი ნაწილი გახდება, რომლის პრემიერა 2016 წლის გაზაფხულზე შედგება თეატრში. ნინო ანანიაშვილი მიხეილ ფოკინის ბალეტების ერთ საღამოზე გაერთიანებას გეგმავს. „ვარდის ზმანებასთან“ ერთად პროგრამაში წარმოდგენილი იქნება „შოპენიანა“ და დაიდგმება ფოკინის კიდევ ერთი ბალეტი „ფასკუნჯი“.

masterpieces of the classical ballet heritage, *Le Spectre de la rose* was restored in the 60s. Ballet was performed several times by Nina Ananiashvili and Andris Liepa.

Le Spectre de la rose was premiered on the 164th season opening, October 9. Prima ballerina Nina Ananiashvili (young girl) performed together with young soloist of the company Yonen Takano (Rose Spirit)

Takano is young soloist with superb manners and outstanding skills. Nevertheless performing with Nina Ananiashvili

was tough challenge for him. Regarding technique and choreographic accuracy of the text, he was almost flawless. However, signs of internal anxiety and lack of the courage were obvious, which he improved by the final stage and left the set with quite energetic jump.

Le Spectre de la rose is part of the project, which will be premiered in the spring of 2016 in the theater. Nina Ananiashvili plans to unite Michael Fokin's ballets in one program. Together with *Le Spectre de la rose* the program will cover *Chopiniana* and *Firebird*.



„ვარდის აჩრდილის“ პრემიერის აფიშა. შან კოქტოს პლაკატი LE SPECTRE DE LA ROSE PREMIERE BANNER. POSTER BY JEAN COCTEAU

ვერა წიგნაძე Vera Tsignadze's Anniversary

90

31 იანვარს, თბილისის საკონცერტო დარბაზში, ვერა წიგნაძის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა.

დარბაზში ქართული საბალეტო ხელოვნების ზემო შედგა, შეკრებილმა საზოგადოებამ – ქართული ბალეტის ძველი და ახალი თაობის მოცეკვავეებმა, მსახიობებმა, ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივმა, მაცურებელმა სიყვარული და პატივისცემა გამოვხატეს იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც ქართული ბალეტის ისტორიაში უდიდესი როლი ითამაშა.

განუმეორებელი, ლეგენდარული ვერა წიგნაძე 90 წლისა გახდა!

On January 31, Tbilisi Concert hall hosted Vera Tsignadze's 90th anniversary.

Guests – old and new generations of Georgian ballet dancers, actors, opera and ballet theater staff and spectators expressed admiration and respect to the person who greatly contributed to the history of Georgian ballet.

Exceptional, legendary Vera Tsignadze turned 90 years old!



„რთული იყო სცენაზე გამოსვლა, როდესაც ამ სცენაზე ვახტანგ ჭაბუკიანი ბრწყინავდა ... – აღნიშნა მისასალმებელ გამოსვლაში საბალეტო დასის ხელმძღვანელმა ნინო ანანიაშვილმა. მცგრამ ვერა წიგ-

ვიანებით შევიტყვე, რომ ეს მისი ბოლო წარმოდგენა ყოფილა. იმდენად ბუნებრივად იცეკვა და ითამაშა, რომ მე და ჩემი მეგობრები მთელი სპექტაკლის განმავლობაში ცრემლებს ვერ ვიკავებდით. მეტიც, დღეს თამამად



ნიკა წულუკიძე, ნინო ანანიაშვილი
NIKA TSULUKIDZE, NINA ANANIASHVILI

კულტურის მინისტრი მხიპიტ ზორბაძე
MINISTER OF CULTURE AND MONUMENT PROTECTION MIKHEIL GIORGADZE

ლიუდმილა ხიტროვა და იგორ არტამონოვი
LYUDMILA KHITROVA, IGOR ARTAMONOV

ნაძემ შეძლო არა მხოლოდ შესანიშნავი პარტნიორობა გაეწია ჭაბუკიანისთვის, არამედ თვითონ გამხდარიყო შეუდარებელი ვარსკვლავი.

პირველი საბალეტო სპექტაკლი, რომელიც ვნახე „ჟიზელი“ იყო სწორედ ვერა წიგნაძის შესრულებით. მოგ-



შემიძლია ვთქვა, რომ ამ სპექტაკლმა ჩემი მომავალი გადაწყვიტა.

2014 წელს მინსკის დიდ თეატრში ვახტანგ ჭაბუკიანის „ლაურენსია“ აღვადგინე. დადგმაზე მუშაობის დროს უდიდესი დახმარება გამიწია ბალეტის მიხედვით გადაღებულმა კინოფილმმა



თანავარსკვლავედში“ ორ უსახელო ვარსკვლავს ვახტანგ ჭაბუკიანის და ვერა წიგნაძის სახელები მიენიჭა და ვარსკვლავთა საერთაშორისო კატალოგში შევიდა.

„ქართული ბალეტის ოსტატები“, სადაც ვახტანგ ჭაბუკიანის გვერდით ბრწყინავს უკვდავი ლაურენსია – ვერა წიგნაძე.

2007 წელს, როცა თბილისში „ლაურენსია“ აღვადგინეთ, პრემიერის წინ საზოგადოებას ვამცნეთ, რომ ჩვენი წარდგინებით „გედის

სოლისტები, ჩიკაგო, აშშ), ლიუდმილა ხიტროვა, იგორ არტამონოვი და კონსტანტინ გერონიკი (მინსკის ოპერისა და ბალეტის აკადემიური ნაციონალური თეატრის ბალეტის წამყვანი სოლისტები), ჟანა გუბანოვა და ანდრეი პისარევი (მოსკოვის თეატრი „კრემლის ბალეტი“), მაია მახათელი და არტურ შესტერიკოვი (ჰოლანდიის ნაციონალური ბალეტის წამყვანი სოლისტები) და თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის მთელი შემადგენლობა და თეატრის ორკესტრი (დირიჟორი დავით მუქერია) მონაწილეობდნენ.

თუ ვინმე იმსახურებს თავის ვარსკვლავს, ეს ქალბატონი ვერაა“.

ორი განყოფილებისაგან შემდგარ სალამოში მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავები – ვიქტორია ჯაიანი და თემურ სულუაშვილი (ჯოფრი ბალეტის წამყვანი

საიუბილეო გალაკონცერტი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარადჭერით გაიმართა.



ნინო სამადაშვილი და იონენ ტაკანო
NINO SAMADASHVILI, YONEN TAKANO



ლალი კანდელაკი
და კონსტანტინ გერონიკი

LALI KANDELAKI,
KONSTANTIN GERONIK



“It is hard to perform on stage where brilliant Vakhtang Chabukiani performs as well – said ballet company principal Nina Ananiashvili in her opening speech. However, Vera Tsignadze managed not only to become the perfect partner to Vakhtang Chabukiani, but to grow into the unrivaled star.

First ballet show I attended was Giselle, with Vera Tsignadze performing leading role. Later I learned that this was her last performance. She acted and danced so naturally, that me and my friends could not stop tears. Moreover, today, I can say that this performance determined my future.

In 2014 I restaged Vakhtang Chabukiani’s Laurencia at Minsk Bolshoi Theatre. While working on production, significant aid provided movie “Georgian ballet

masters”, based on this ballet with immortal Laurencia – Vera Tsignadze accompanied by Vakhtang Chabukiani.

In 2007, when Laurencia was restaged in Tbilisi, prior to premiere we announced that in “Cygnus constellation” two anonymous stars were named after Vakhtang Chabukiani and Vera Tsignadze; they were included in international catalogue of stars.

If anyone deserves own star, it is definitely Ms. Vera.”

World ballet stars participated in two act performance evening – Victoria Jaiani and Temur Suluashvili (Joffrey Ballet soloists, Chicago, USA), Lyudmila Khitrova, Igor Artamonov and Konstantin Geronik (Minsk Opera and Ballet Academic National Theatre Ballet soloists), Jana Gubanova and Andrei Pisarev

ჰანა გუბანოვა, ანდრეი პისარევი
ZHANA GUBANOVA, ANDREI PISAREV




(Moscow theater Kremlin Ballet), Maya Makhateli and Arthur Shesterikov (Dutch National Ballet soloists) and Z. Paliashvili Opera and Ballet Theatre Ballet Company and entire theater orchestra (conductor D. Mukeria).

Anniversary Gala Concert was held with the support of Ministry of Culture and Monument Protection of Georgia.

ვიქტორია ჯაიანი და
თემურ სულუაშვილი

VICTORIA JAIANI,
TEMUR SULUASHVILI



მაია მახათელი
და არტურ
შესტერიკოვი
MAIA MAKHATELI,
ARTURSHETERIKOV





ქართული ბალეტის ათი წელი 2004-2014 Ten years of the Georgian ballet

2015 წლის 16 აპრილს, სასტუმრო The Terrace-ში გაიმართა წიგნი-ალბომის „საქართველოს სახელმწიფო ბალეტი 2004-2014 წლებში“ პრეზენტაცია. წიგნი თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასის შემოქმედებით ცხოვრებას ასახავს, რომელიც დასმა ათი წლის განმავლობაში, ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით, გაიარა. გამოცემაში დაბეჭდილია საინტერესო მასალები საბალეტო დასის რეპერტუარზე, რომელიც ათი წლის განმავლობაში 53 პრემიერას, კლასიკურ და თანამედროვე საბალეტო დადგმებს, აგრეთვე მოკლე მინიატურებს და სხვადასხვა ღონისძიებებზე გამართულ დივერტისმენტებს მოიცავს; ინფორმაცია საქართველოს ფარგლებს გარეთ და ასევე ქვეყნის შიგნით გამართული 28 გასტროლის შესახებ; რეცენზიები, რომელიც გამოქვეყნდა უცხოურ მედიაში. წიგნი გამოიცა „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ ფინანსური დახმარებით. გამოცემის მხარდამჭერია „ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოება“

On April 16, 2015, Hotel "The Terrace" hosted presentation of book-album "The State Ballet of Georgia 2004-2014". The book reflects ten years of creative life of Z.Paliashvili Opera and Ballet State Theatre Ballet Company, which was carried out under the leadership of Nina Ananiashvili. Publication includes impressive materials on the repertoire of the ballet company, which covers 53 premieres, classical and modern ballet stagings, as well as a miniatures and divertimentos performed at various events; Information on 28 international and local tours; Reviews, published in foreign media. The book was published with financial assistance of "Georgian Industrial Group". The publication is supported by the "Friends of the Georgian Ballet".

ნინო ანანიაშვილი: „ძალიან მოხარული და ბედნიერი ვარ, რომ დღეს აქ ვხვდავთ. აქ ვხვდავ სახეებს, რომლებიც პირველი დღეებიდანვე ჩვენთან არიან, ჩვენი გულშემატკივრები არიან.“

წიგნი, რომლის პრეზენტაციაზე შევიკრიბეთ, ჩვენი ათწლიანი მუშაობის ერთგვარი ანგარიშია. ანუ იმ პერიოდის, რაც მე ვხელმძღვანელობ საქართველოს სახელმწიფო ბალეტს. როცა უკვე დაბეჭდილი წიგნი გადავათვალთ იერე მეც კი გამიკვირდა – რამდენი რამ მოგვისწრია ამ მოკლე პერიოდში.

დიდი მადლობა მეგობართა საზოგადოებას, რომლის იდეა იყო ამ წიგნის გაკეთება. მერე დაგვჭირდა პარტნიორი. წარმოიდგინეთ, როგორც ცხოვრებაში ასევე ბალეტშიც მნიშვნელოვანია კარგი პარტნიორის მოძებნა, მაგრამ რთულიცაა. თუმცა, ჩვენ გაგვიმართლა რომ მოვნახეთ კარგი პარტნიორი – საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი. და ეს წიგნიც გამოვიდა – პა დე დე ინდუსტრიულ ჯგუფთან ერთად. დიდი მადლობა ბატონ დავით ბეჟუაშვილს, რომელიც პირველი დღიდან გვერდით გვედგა, ჩვენ ყველა პრემიერას ესწრებოდა.

Nina Ananiashvili: I am very glad to see you all here. Today we have a celebration. I see faces that are supporting us from the very first days.

Book, which is the reason of our gathering, is in some way a summary of our work, in the period of 10 years, the period that I am artistic director of state ballet of Georgia. When I gave a glance at a complete book, I was surprised – we managed to make huge achievements in this short period.



I want to thank friends of ballet, who proposed the idea of publishing this book. The next step was to find partner. Similarly to daily life, in ballet it's important to find a good companion; although it's hard, we managed to find great partner – Georgian Industrial Group. Then this book was launched – pas de deux. Mr. Davit Bejushvili is present today. Thank you for standing by our side from the very beginning and for attending all our premieres.

თითოეულ ფურცელში არის მოგონება, თითოეულ ფურცელში არის ისტორია იმ ადამიანებისა, ვინც ამ სპექტაკლებში მონაწილეობდნენ. აქ აღწერილია 53 სპექტაკლის პრემიერა, 28 გასტროლი. ამ წიგნის თითოეულ ფურცელში ჩადებულია იმ ადამიანების შრომა, რომლებიც ქმნიდნენ ამ სპექტაკლებს – მოცეკვავეების, პედაგოგების, ადმინისტრაციის და ყველა იმ ადამიანის ვინც დღეს თეატრში მუშაობს. ყველა მათ მინდა დიდი მადლობა გადავუხადო.

ძალიან მალე გავიდა ეს ათი წელი. მაგრამ საინტერესო დღეები გავიარეთ და იმედი მაქვს ამ წიგნის საშუალებით ეს დღეები არასდროს დაავიწყდება არც იმათ, ვინ ქმნიდა საბალეტო დასის ისტორიას და არც იმათ, ვინც მხარს გვიჭერდა და გვერდით გვედგა.

Every single page keeps memories. Every page keeps history of all those people participated in this performances. It narrates story of 53 premiers and 28 tours. Each page covers the effort of those people who created these performances – dancers, tutors, administration and everyone who works in the theatre, and I am grateful to all these people.

10 years have passed quickly, nonetheless, we collected many remarkable memories and I hope, with the help of this book, these days will be recalled by ones who created the ballet history and by ones who supported us.



Manana Manjgaladze, Georgian Industrial Group: Being partner of Nina Ananiashvili is matter of great significance. Nearly a few months ago, we found out about this project, carried out by Nina. Georgian Industrial Group did not take long to decide to become partners of this book and overall Georgian ballet. I am representative of 90's, when nothing positive happened in Georgia. The brightest days were the days when Ms. Nina Ananiashvili toured to Tbilisi. I want to thank her for being with Tbilisi Opera and Ballet theatre for 10 fascinating years.

უილიამ პრატი, სოლისტი: ექვსი წელია ამ დასში ვარ. მთავარი მიზეზი რის გამოც აქ ჩამოვედი არის ქალბატონი ნინო. ამ წლების მანძილზე აქ უამრავი პრემიერა შედგა, რაც სხვა კომპანიებისათვის დამახასიათებელი არ არის.

William Pratt, soloist: It's 6 years that I am part of this company and the main reason for my arrival is Ms. Nina. In this period, countless premiers were staged, what is uncommon for other companies.'

მანანა მანჯგალაძე, საქართველოს ინ-

დუსტრიული ჯგუფი: იყო ნინო ანანიაშვილის პარტნიორი უკვე ძალიან დიდ რამეს ნიშნავს. დაახლოებით რამდენიმე თვის წინ გავიგეთ, რომ ასეთი კარგი რამე კეთდებოდა. საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფში დიდხანს არ გვიფიქრია და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ამ წიგნის და ზოგადად ქართული ბალეტის პარტნიორი უნდა ვყოფილიყავით. მე 90-იან წლების წარმომადგენელი ვარ, როცა საქართველოში არაფერი კარგი არ ხდებოდა. ყველაზე ნათელ მოგონებად ის დღეები მახსენდება, როცა ქალბატონი ნინო ანანიაშვილი თბილისში ჩამოდიოდა საგასტროლოდ. ამისთვისაც მადლობას ვუხდით მას, ისევე როგორც ამ საინტერესო ათი წლისათვის თბილისის ოპერის თეატრის საბალეტო დასთან ერთად რომ გაატარა.





კარო ვილკისი, ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების ხელმძღვანელი: ბალეტის მეგობართა საზოგადოებისთვის დიდი პატივია მხარი დაუჭიროს წიგნის „საქართველოს სახელმწიფო ბალეტი 2004-2014 წლებში“ პრეზენტაციას. ეს წიგნი არის თბილისის საბალეტო დასის შემოქმედებითი მოღვაწეობის და ამ დასის სამხატვრო ხელმძღვანელის რანგში ნინო ანანიაშვილის ათწლიანი მოღვაწეობის უბადლო მატრიანე. მისი მრავალმხრივი და შთამაგონებელი საქმიანობით საბალეტო დასმა სწრაფად გაითქვა სახელი მსოფლიო საბალეტო სამყაროში, რასაც ადასტურებს ცოტა ხნის წინ იტალიაში, ქალაქ ბარიში ჩატარებულ საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე დასის სოლისტების მიერ დაკავებული პირველი ადგილი.

ბალეტის მეგობრები მოხარულები ვართ მხარი დაუჭიროთ საბალეტო დასის მონაწილეობას საერთაშორისო კონკურსებში, მათ გამოსვლებს მსოფლიოს სხვადასხვა სცენებზე, ახალგაზრდა მოცეკვავეების წახალისებასა და მხარდაჭერას ბალეტის მეგობართა საზოგადოების მიერ გამოყოფილი სტიპენდიებით.

Caro Wilkes, Director of Friends of Georgian Ballet: The friends of the Georgian Ballet are honoured to support the launch of State Ballet of Georgia 2004-2014. This exquisite book is a stunning record of a decade of superlative work by the Ballet and a testament to the creative energy and balletic art of its Artistic Director Nina Ananiashvili. Under her inspirational direction the Ballet Company is rapidly becoming a tour de force on the global stage recently sweeping away their rivals in competition in Bari, Italy. The Friends are delighted to be able to support the Ballet Company's participation in international competitions, raising the State Ballet of Georgia's profile on the global dance stage, and encouraging and supporting young dancers through FGB scholarship programmes to consider a life of dance.

ნინო ოჩიაური, პედაგოგ-რეპეტიტორი: როცა ეს წიგნი გადავფურცლე, ყველა იმ მომენტმა კინოკადრით გაიარა თავაწინ, რომელიც ამ ათი წლის მანძილზე გავიარეთ – სიხარული, შრომა, გათენებული ღამეები, ურთიერთობა იმ ადამიანებთან ვინც ჩამოდიოდა და დგამდა ჩვენთვის. და ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩვენ ამის მონაწილე ვიყავით; ეს წიგნი არის ჩვენი თეატრის ბოლო ათი წლის ისტორია და ჩვენ ყველანი ამ ისტორიაში ჩვეწერეთ, რაც ძალიან საამაყო ჩემთვის. ხშირად ვამბობ, რომ მომიწია ისეთი სპექტაკლების ცეკვა, რომლებიც არც მიოცნებია. და როცა აქ პირველად დავინახე ფოტო „ლეადან“ მივხვდი, რომ ეს წიგნი ჩვენი ახდენილი ოცნებების წიგნია.



Nino Ochiuri, Tutor: When I took a glance at this book, I imagined every moment we went through in the period of 10 years- happiness, hard work, sleepless nights, collaboration with people who traveled here to stage our ballets. It's wonderful that we were part of it; This book cover 10 years history of our theatre and I am proud that we are part of this history. I am going to repeat the words I often say, I performed in ballets which I could not even dream about; and when I first saw the photo from *Leah*, realized that this book is book of our dreams.



მანანა ახმეტელი, მუსიკისმცოდნე: ათი წლის მანძილზე მიმდინარე კულტურულ ცხოვრებას რომ გადავავლებთ თავალს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე წარმატებული არის ჩვენი საბალეტო ხელოვნება, ჩვენი საბალეტო დასი. ქალბატონი ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით ჩვენმა დასმა შეძლო მოეხდინა ინტერგრირება მსოფლიო საბალეტო სამყაროს გამოწვევებთან.

Manana Akhmeteli, music critic: If we look at cultural life through these 10 years, we can state with confidence, that ballet art is the most successful among others. Under the supervision of Nina Ananiashvili, our company managed to integrate with challenges of the world ballet.

ლალი კანდელაკის გამოსვლა მინსკში

PERFORMANCE OF LALI KANDELAKI IN MINSK

“Georgian prima ballerina with high jump and extraordinary technique” – is the appraisal given to Lali Kandelaki for performing Vakhtang Chabukiani’s *Laurencia* in Minsk. Georgian prima ballerina performed leading role in A. Krein’s *Laurencia*, at international ballet festival “Ballet Summer”, Minsk.

“Back straight proud gaze, daring look, the high jump and supreme technique” – this appraisal was given to her performance by the media. Lali Kandelaki’s partner was leading soloist of Belarus Bolshoi Theatre, Konstantin Geronik.

Ballet *Laurencia* (choreography by Vakhtag Chabukiani) was renovated in 2006, in Tbilisi. The leading role was performed by Lali Kandelaki, who remains the only performer of this role at Tbilisi Opera and Ballet Theatre. Ballet was staged in Belarus Bolshoi Theatre by Nina Ananishvili in 2014. After successful premier, Lali was invited to Minsk.

„ქართველი პრიმა-ბალერინა მაღალი ნახტომით და შეუდარებელი ტექნიკით“ – ასე შეაფასეს ლალი კანდელაკის გამოსვლა მინსკში ვახტანგ ჭაბუკიანის ბალეტში „ლაურენსია“. ქართველმა პრიმა-ბალერინამ ლაურენსიას მთავარი პარტია მინსკში, საერთაშორისო საბალეტო ფესტივალზე („საბალეტო ზაფხული“), იცეკვა. ა. კრეინის „ლაურენსია“ ამ ფესტივალის ფარგლებში იქნა წარმოდგენილი.

„წელში გამართული ამაცი მხერა, გაბედული გამოხედვა, მაღალი ნახტომი და შეუდარებელი ტექნიკა“ – წერდა პრესა მის გამოსვლაზე. ლალი კანდელაკს მინსკში პარტნიორობას ბელარუსის დიდი თეატრის წამყვანი სოლისტი კონსტანტინ გერონიკი უწევდა.

ბალეტი „ლაურენსია“ ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფიის მიხედვით თბილისში 2006 წელს იქნა განახლებული. მთავარი პარტია მაშინ სწორედ ლალი კანდელაკმა იცეკვა, რომელიც დღემდე რჩება თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ამ პარტიის ერთადერთ შემსრულებლად. ბელარუსის დიდ თეატრში კი ბალეტი ნინო ანანიშვილმა 2014 წელს დადგა. წარმატებული პრემიერიდან რამდენიმე თვის შემდეგ მინსკში ლაურენსიას საუკეთესო ქართველი შემსრულებელი მიიწვიეს.

სტიქიის დაზარალებულთა დასახმარებლად

თბილისში 13 ივნისს მომხდარი სტიქიური უბედურების დროს დაზარალებულთა დასახმარებლად საბალეტო დასის წევრებმაც მიიღეს მონაწილეობა. ისინი ვერეს ხეობაში, „მზიურისა“ და თბილისის ზოოპარკის ტერიტორიაზე მოხალისეებს გაწმენდით სამუშაოებში შეუერთდნენ. ბალეტის ადმინისტრაციამ მოხალისეებისათვის პირველადი მოხმარების აუცილებელი საგნები შეიძინა და გადასცა მათ.

სტიქიით დაზარალებულების დახმარების ფონდში მთლიანად იქნა გადარიცხული თანხა, რომელიც 21 ივნისის სპექტაკლის ბილეთების გაყიდვიდან („ჰიზელი“) იქნა შემოსული.

პრიმა-ბალერინა ნინო ანანიშვილის იაპონიაში გასტროლის დროს, დაზარალებულთა დასახმარებლად საქველმოქმედო აუქციონი გაიმართა. სახელდახელოდ მოწყობილ საქველმოქმედო აუქციონზე ტოკიოში 1.644 ამერიკული დოლარი შეგროვდა. თანხა იაპონიაში საქართველოს სრულუფლებიან ელჩს ბატონ ლევან ცინცაძეს გადაეცა.

„ჩვენ ძალიან ვაფასებთ ქალბატონი ნინოს მხარდაჭერას და დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ მას და ყველა მონაწილეს. ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს მომავალში თბილისი თავის ძველ სახეს დაიბრუნებს“ – წერდა ფეისბუქის გვერდზე სატოში აბარა, ნინო ანანიშვილის იაპონელი ფანების ერთ-ერთი წარმომადგენელი.

AIDING DISASTER VICTIMS

Company members volunteered in cleaning works at Vere ravine, “Mziuri” and Tbilisi Zoo territories, hereby aiding disaster victims, which took place on June 13. Ballet administration provided them with primary necessity items.

Money collected from the ticket sale, on 21 June performance (“Giselle”), has been transferred to disaster victims’ assistance fund.

At that point, prima-ballerina Nina Ananishvili was visiting Japan, where she held charity auction to support disaster victims. 1,644\$ was collected from this unplanned auction and was transferred to Georgian ambassador in Japan, Mr. Levan Tsintsadze.

“We greatly appreciate Ms. Nina’s support and want to thank her and all participants. We hope that Tbilisi will be recreated in nearest future” – wrote Satoshi Abara, representative of Nina Ananishvili’s Japanese fans.




163-სეზონის დახურვა

28 ივნისს თეატრის საბალეტო დასმა 163-ე სეზონი გრიბოედოვის თეატრის შენობაში დახურა. მაცურებელს დასმა ერთმოქმედებიანი ბალეტების პროგრამა შესთავაზა. წარმოდგენილი იქნა ირუი კილიანის პროგრამა და ბალეტი „საგალობელი“

163-TH SEASON CLOSING

On June 28, Ballet Company held 163th season closing, at Griboedov Theatre. Company performed Jiri Kylian’s one act ballet program and ballet *Sagalobeli*.



გივი ანდრიადე

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი და საბალეტო დასი მწუხარებას გამოთქვამს ღვაწლმოსილი მსახიობის გივი ანდრიადის გარდაცვალების გამო. ბატონი

გივი ათეული წლები თეატრის საბალეტო დასში სახასიათო ცეკვების მსახიობი იყო და დაუვიწყარი როლები შექმნა სცენაზე.

GIVI ANDRIADZE

Tbilisi Opera and Ballet Theatre and ballet Company expresses deepest condolences, regarding passing of remarkable artist Givi Andriadze. Throughout many years, Mr. Givi performed character dances da created extraordinary roles.

Red & White



ქართულ-იაპონური გალა-კონცერტი

ქართულ-იაპონური გალა-კონცერტის სახელწოდება ორი ქვეყნის სახელმწიფო დროშის ფერების მიხედვით შეირჩა და საქართველოსა და იაპონიის მეგობრობის სიმბოლოდ იქნა ჩაფიქრებული. ამ საღამომზე საბალეტო დასი შეეცადა, საკუთარი მრავალფეროვანი რეპერტუარიდან, ეჩვენებინა როგორც კლასიკური ასევე თანამედროვე ქორეოგრაფიის ნომრები.

საღამო სცენაზე მოწყობილ საბალეტო კლასში დაიწყო, სადაც გაკვეთილს დასის ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი ატარებდა. საბალეტო გაკვეთილის მსვლელობაში ჩართული იყო ვარიაციები კლასიკური ბალეტებიდან.

16 მაისს, ნინო ანანიაშვილის და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის მიერ, საქართველოში იაპონიის საელჩოსთან ერთად, წარმოდგენილ გალა-კონცერტში ქართველ მოცეკვავეებთან ერთად ის იაპონელი მსახიობებიც მონაწილეობდნენ, რომლებიც რამდენიმე წელია თბილისში ცეკვავენ.



სამგანყოფილებიან საღამომზე შესრულდა ფრაგმენტი „გედების ტბიდან“ პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილის და ბელარუსის დიდი თეატრის სოლისტის იგორ არტამონოვის მონაწილეობით. მესამე განყოფილება დაეთმო ირჟი კილიანის ერთმოქმედებიან ბალეტს „ექვსი ცეკვა“.

ქართულ-იაპონური გალა-კონცერტის ჩატარებას მხარი დაუჭირეს საქართველოში მოღვაწე იაპონურმა კომპანიებმა - ტოიოტა, JTI და ბატონმა კაზუო კატომ.

ქართულ საბალეტო დასს იაპონიასთან მეგობრობის და შემოქმედებითი თანამშრომლობის განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს. პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი იაპონიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ ქვეყანაში ანანიაშვილის თაყვანისმცემლებისგან შემდგარი 20-მდე ფან-კლუბი არსებობს. სოლო-კონცერტების გარდა, იაპონიაში ქართული დასი სრული შემადგენლობით სამჯერ იყო გასტროლზე – 2007 (ტოკიო, იოკო-სუკა, ნაგოია, ოსაკა, ოკაია), 2010 (ნაგოია, ტოკიო, ოსაკა) და 2012 წელს (ტოკიო, ოკინავა, ივაკუნი, კაგოშიმა, ნაგოია, შიზუოკა).





GEORGIAN-JAPANESE GALA CONCERT

Title for Gala Concert- Red and White was chosen according to the colors of national flags of two countries and represents mutual friendship. Out of its diverse repertoire, company performed classical, as well as contemporary ballet pieces.

Performances began with ballet class, conducted by artistic director Nina Ananiashvili. Class covered variations from classical ballets.

At Gala concert, held by Tbilisi Opera and Ballet Theatre Company and embassy of Japan in Georgia, participated Japanese artists who dance in company for several years.

Three act ballet evening included fragments from *Swan Lake*, performed by Nina Ananiashvili and soloist of Belarus Bolshoi Theatre Igor Artamonov. Third act was dedicated to Jiri Kylian one act ballet *Sechs Tanze*.

Georgian-Japanese Gala concert was supported by Japanese companies – Toyota, JTI and Mr. Kazuo Kato.

Georgian Ballet Company has special friendship and artistic liaison with Japan. Prima ballerina Nina Ananiashvili is extremely popular among Japanese spectators, who formed up to 20 fan clubs in Japan. Georgian company toured to Japan three times – in 2007 (Tokyo, Yoko-Succa Nagoya, Osaka, Okaya), 2010 (Nagoya, Tokyo, Osaka) and in 2012 (Tokyo, Okinawa, Iwakuni, Kagoshima, Nagoya, Shizouka).



Ave Maia!

მაია პლისეცკაია



მისი გარდაცვალება ისეთივე მოულოდნელი, წარმოუდგენელი და დაუჯერებელია, როგორც ბუნების მოვლენების სამუდამო გაქრობა, რადგან მაია სწორედ ასეთი მოვლენა მგონია. არა აქვს მნიშვნელობა ადამიანის ასაკს და ჯანმრთელობას, როცა საქმე მართლაც ბუნების ქმნილების, გამოუცნობამდე მისული გენიალურობის და საკუთარი ხელით საბალეტო ხელოვნებაში ეპოქის შემქმნელი მსახიობის გარდაცვალებასთან გვაქვს.

მაია პლისეცკაიას მთელი ცხოვრება და საბალეტო მოღვაწეობა გამორჩეულად და ხაზგასმულად სხვანაირი და შეუდარებელი იყო. არც ერთ როლში, კლასიკურსა თუ შედარებით თანამედროვეში, ბალერინა არ დამორჩილებია არანაირ სტერეოტიპს და კანონს. თუ მისსავე ნამუბობს დავუჯერებთ, იგი ნაწილობადად მხოლოდ იმას, რომ არ გაიარა ძლიერი, ფუნდამენტური საბალეტო სკოლა პეტერბურგში, აგრიპინა ვაგანოვას კლასში. ამ შემთხვევაშიც კი, ეს დანაკლისი პლისეცკაიამ საკუთარ მონაპოვრად აქცია. მისი უსაზღვრო თავისუფლება, მისი განუმეორებელი ხელები, უწყვეტი, ამოუსუნთქავი

ცეკვის ტემპო-რიტმი, ბუნებრივი არტიზმი და რასაკვირველია აბსოლუტური, უნიკალური სმენა, ქმნიდა სწორედ იმ ჯადოსნურ ატმოსფეროს სცენაზე, რაც მხოლოდ სკოლის სიზუსტით და თუ გნებავთ ტექნიკის სრულყოფით არ მიიღწევა. პლისეცკაიას სითამამე და დაუმორჩილებლობა როგორც პიროვნებისა, ასევე მოცეკვავის, განსაკუთრებით თანამედროვე ქორეოგრაფების სპექტაკლებში ბრწყინავდა სრულად. „კარმენ-სუიტა“, „ბოლერო“, „აისედორა“ და სხვა სწორედ რომ პლისეცკაის სულის, სილამაზისა და თავისუფლების სიმბოლოდ იქცა.

ალბათ, ხელოვნების ნებისმიერი დარგის თუ ჟანრის მოყვარულთათვის პლისეცკაია ისევე დარჩება სუნთქვის და სწრაფის ულამაზეს გამოხატულებად, როგორც არქიტექტურის, მუსიკის და მხატვრობის უკვდავი ნიმუშები.

ნილა გოძიაშვილი

Her passing was so unexpected and unbelievable, as the collapse of natural phenomena, since I consider Maya as similar phenomena. The age and health condition are worthless when we deal with the passing of mysterious genius and artist who created the entire era herself.

Maya Plisetskaya's life and ballet career was outstanding, diverse and unique. Ballerina never followed stereotypes and rules, neither in her classical or contemporary works. The only thing she was regretful for is that she was unable to undergo fundamental ballet school in St.Petersburg, under tutorship of Agripina Vaganova.

Even in this case, Plisetskaya managed to trans-

form this deficiency into achievement. Her limitless freedom, unique hands, continuous tempo-rhythm dance, natural artistic character and undoubtedly her absolute hearing created magic atmosphere at the stage, which is unattainable with the school precision and perfection of the technique.

Plisetskaya's courage and rebellious character was vividly revealed, especially in contemporary choreographers' ballets. *Carmen Suit, Bolero, Isadora* and others turned into symbols of Plisetskaya's beauty and liberty.

Perhaps, Plisetskaya will represent aspiration and grace in every art amateur's heart, as are the immortal models of architecture, music or painting.

NIALA GODZIASHVILI

მაია პლისეტსკაიას 90 წელი 21 ნოემბერს შეუსრულდებოდა. იუბილეს აღნიშვნა დიდ თეატრში სურდა, სცენარის თვალთვალში მოიფიქრა. სალამო 21 ნოემბერს დიდ თეატრში შედგა, მხოლოდ მის გარეშე. თუმცა პლისეტსკაიას დატოვებულ სცენარში თითქმის არაფერი შეუცვლიათ.

პლისეტსკაია გერმანიაში 2 მაისს გარდაიცვალა. იმ დღეებში, როგორც ხდება ხოლმე, ბევრს იხსენებდნენ მისი უამრავი და დაუვიწყარი როლის, წოდების, ჯილდოს, შესახებ. მაგრამ მას აქვს ერთი ყველაზე მთავარი წოდება – ის არის ბალერინა. ამ სტატუსს საიმპერატორო თეატრებში მხოლოდ გენიალურ მოცეკვავეებს ანიჭებდნენ. სწორედ ასეთი იყო პლისეტსკაია – ბალერინა, რომელიც აღარ განმეორდება.

მისმა ფენომენალურმა, ხანგრძლივმა შემოქმედებითმა გზამ დაანგრია ყველა სტერეოტიპი ბალერინების ხანმოკლე კარიერის შესახებ. საბალეტო სცენაზე ექვსი ათეული წლის განმავლობაში იდგა, აქედან ნახევარი საუკუნე – დიდ თეატრში.

მოსკოვის საბალეტო სკოლაში რვა წლის ასაკში მიიყვანეს. რეპრესირებული მშობლების შვილი სვერდლოვსკში გადაასახლეს, სადაც პირველად შეასრულა „მომაკვდავი გელი“, ანა

პავლოვასთვის შექმნილი ნომერი, რომელსაც პლისეტსკაიამ მეორე სიცოცხლე შესძინა. მისი ხელები, რომელიც სწორედ გედის მსგავსად ჰქონდა გაშლილი, საბალეტო სამყაროს და საკუთარი შინაგანი თავისუფლების სიმბოლო გახდა.

ბევრ პრობლემას უქმნიდნენ, არ უშვებდნენ გასტროლებზე, მუდმივი კონფლიქტი ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლებასთან, რადგან მას მეტი უნდოდა ვიდრე ის, რასაც ცეკვავდა. მეამბოხე ბუნების ბალერინას სურდა ეცეკვა თანამედროვე ქორეოგრაფების ბალეტები. „კარმენის“ აკრძალვა მოსთხოვეს, მაგრამ მისი გაიტანა და ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა – „მე წავალ, კარმენი კი მუდამ დარჩება“.

პლისეტსკაია გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე თბილისს ეწვია. თბილისის საკონცერტო დარბაზში მისმა გამოჩენამ დაჩრდილა იმ საღამოს ყველა სხვა მოვლენა. ასეთი დამამახსოვრებელი მაია – დარბაზში მდგომი, ულამაზესად გაშლილი ხელებით. ასე მხოლოდ მას შეეძლო.

ილია თავბერიძე

Maya Plisetskaya would have celebrated the 90th anniversary on November 20. Her wish was to celebrate at Bolshoi Theater; she created the script herself and selected the date. The evening will be held on November 21 in the Bolshoi Theater, but without her. However, no alterations will be made to the script left by Plisetskaya.

Plisetskaya passed away on May 2, in Germany. In those days, many remembered her numerous honors, awards and prominence. But she has one most important honor – she is a ballerina. This status is granted by Imperial theaters only to brilliant dancers. Such was Plisetskaya, a ballerina, which remains one and the only.

Her phenomenal, extensive artistic path has destroyed all the stereotypes about ballerina's short-lived career. She danced through 6 decades, out of which, half a century – in the Bolshoi Theater.

She was 8 when joined Moscow ballet school. As her parents were under repression, she got exiled to Sverdlovsk where she first performed *Dying Swan*; this role was intended for Ana Pavlova,

which she managed to revive. Her arms, which were wide open like a swan, became the symbol of ballet world and inner freedom.

The daughter of repressed parents faced many difficulties; she was not allowed to participate in tours, and had constant struggle with government as she aspired for more than she had. Rebellious ballerina wanted to dance contemporary choreographers' ballets. She was forbidden to perform *Carmen*, but she still reached her goal line; Once she stated in her interview – “I will leave, Carmen will stay forever”.

Not long before she passed away, Plisetskaya travelled to Tbilisi. Her presence at Tbilisi Concert Hall outshined all other events at that evening. This is how I will remember Maya – standing at the hall with gorgeously wide-opened arms. She was the only who could do it.

ILIA TAVBERIDZE





გუგა Guga

ძალიან სევდიანად დაიწყო ახალი თეატრალური სეზონი. ტრაგიკული შემთხვევის გამო დაიღუპა თეატრის საბალეტო დასის სოლისტი, ჩვენი მეგობარი გუგა (გიორგი) მშვენერაძე. გუგას გარდაცვალება დიდი ტკივილია ჩვენი დასისთვის, მისი მეგობრებისთვის. იგი სულ პატარა მოვიდა თეატრში ქორეოგრაფიული სასწავლებლიდან. გამოსაშვებ საღამოზე გამორჩეული იყო მის მიერ შერულებული „ლურჯი ფრინველის“ ვარიაცია ბალეტიდან „მძინარე მზეთუნახავი“. თუმცა მას, ჯერ კიდევ სასწავლებლის მოსწავლეს, პირველი როლი პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტაში“ მისცეს. გუგა ბენვლიოს ცეკვავდა – რომეოს ერთგულ მეგობარს. გუგა ცხოვრებაშიც ასეთი იყო – ერთგული და სანდო მეგობარი.

New ballet season began with great loss. Tragically passed away ballet company soloist, our friend Guga (Giorgi) Mshvenieradze. It was a huge pain for company members, his friends. As a child, he came to theater from choreographic school. On graduation day, he performed outstandingly “Bluebird” variation from ballet “Sleeping beauty”. However, still being choreographic school student, he was given his first role in Prokofiev’s ballet “Romeo and Juliette”. Guga performed Benvilio – devoted friend of Romeo. Guga had similar character in life – he was devoted and trustworthy friend.

აღარ თავდება ჩვენთან ტრაგედიები. დავკარგეთ ნიჭიერი, თავის პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული ახალგაზრდა, რომელმაც თავისი შექმნილი საბალეტო ვებ-გვერდით გააერთიანა მსოფლიო ბალეტის პროფესიონალები და ბალეტის მოყვარულები. პატიოსანი, ერთგული, თავმდაბალი, ჭკვიანი, განათლებული, ყოველთვის მზადმყოფი დახმარებისთვის... მე ვგლოვობ, რომ ასეთი ადამიანი დააკლდა თეატრს და ჩვენ ქვეყანას. ყოველთვის მემახსოვრება გუგას სიცილი, რომელიც ამაოდ ცდილობდა ტექნიკის სიახლეები აეხსნა ჩემთვის. ოჯახის წევრებით ახლო და საყვარელი ადამიანი დავკარგე. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების დასებიდან ვიღებ უამრავ სამძიმარს. ნათელში გამყოფოს ღმერთმა, გუგა!

Never ending tragedies. We lost a talented, passionate about his profession young man. With the help of website he made, Guga united worldballet professionals and ballet fans. Honest, faithful, modest, intelligent, educated, always ready to help ... I grieve that theater and our country lost such person. I will always remember Guga’s laughter, who tried in vain to explain to me technical novelties. I have lost close family member and precious person. I get countless condolences from companies around the world. RIP, Guga!

ნინო ანანიაშვილი

NINA ANANIASHVILI

ვებ-გვერდი Balletoman.com გუგას შექმნილია. შეიძლება ითქვას, რომ დღეს იგი მსოფლიო საბალეტო სამყაროში და ბალეტომანებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. საიტის ყველაზე დიდი ღირსება ის იყო, რომ გუგა პოულობდა, ეძებდა და აქვეყნებდა უნიკალურ ჩანაწერებს როგორც ბალეტის ისტორიიდან, ასევე თანამედროვე რეპერტუარიდან. მსოფლიო სხვადასხვა თეატრებში გამართული პრემიერების ჩანაწერების ნახვა ამ საიტზე უმოკლეს დროში იყო შესაძლებელი. ამის გამო იგი უამრავ ბალეტომანს დაუმეგობრდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რომლებიც დიდ მწუხარებას გამოთქვამენ ამ ტრაგიკული შემთხვევის გამო.

The website Balletoman.com is launched by Guga. We can say that, today it is very popular among ballet fans and ballet world generally. One of the biggest advantages of site was that Guga searched and published unique records from the history of ballet, as well as modern repertoire. Records of world premieres held at various theaters around the world were available on website in shortest time. As a result, he became friends with numbers of ballet enthusiasts around the world, who expressed deepest condolences regarding this tragic accident.

ვერასოდეს ვიფიქრებდი ასე ხალისის გარეშე, უსუსურობის და სიცარიელის შეგრძნებით, გულის ტკივილით ოდესმე თუ მომიწევდა თეატრში მოსვლა... თეატრში, რომელიც ჩვენ ყველას, შენთან ერთად, ასე ძალიან გვიყვარდა... სცენას, რომელსაც ასე მოუთმენლად ველოდებოდით, დააკლდება შენი ენერჯია, სიყვარული და წარმატება... ყველაფერი გაგრძელდება, ყველაფერს მოეგვება თითქოს, ოღონდ მუდმივად თავს გაგვახსენებს კეთილი გუგა, რომლის გარშემოც ყოველთვის იტრიალებს ის ხალხი, რომელიც ასე ძალიან და მთელი შენი თბილი გულით გიყვარდა. ძნელი იქნება შენს გარეშე თითოეული დღე თეატრში, რეპეტიციები და სპექტაკლები. თურმე რა ძალიან გვიყვარებიხარ, რა ცოტა დროში მოგისწრია ყველაფერი, ის რაც ადამიანმა შეიძლება დღევრძელი ცხოვრების ხარჯზე ვერ მოახერხოს... შენ ყოველთვის ჩვენს გულებში იქნები, ჩვენს ფიქრებში და მოგონებებში დარჩები. თან ძალიან ბევრი ადამიანი დატოვე ამქვეყნიდან რომლებსაც გვიყვარხარ და გული დაგვწყვიტე. რადგან ბევრნი ვართ, ესე იგი დიდხანს იცხოვრებ, იმიტომ, რომ მხოლოდ დროს შეუძლია შეაფასოს თუ რამდენად დიდებულია სიყვარული ...

I would never imagine that I had come to the theater so reluctantly, with the feeling of helplessness, emptiness and pain... In a theater, that we all, together with you, loved so much... the scene, which we were waiting so eagerly, will lack your energy, love and success ... everything will carry on, as if everything has passed; but gentle Guga will constantly remind about himself, to people who he loved with all his sincere heart. Each day in theater, rehearsals and performances will be tough without you. Now I realize how much we loved you, how many deeds you managed to complete in short time, deeds that many people can't manage to complete in long lifetime... You will always stay in our hearts, in our minds and memories. Many people are left in this world who love you and whose hearts are broken. As we are many, it means you have long time to live, because the only thing that can assess greatness of love is time...

ლანა მღებრიშვილი

LANA MGHEBRISHVILI



მისი საიტი Balletoman.com იყო ინფორმაციის უმნიშვნელოვანესი წყარო მრავალი ადამიანისთვის. ვიზიარებ მისი ოჯახის და მეგობრების მწუხარებას.

His website has been such an important source of information to so may people. Thoughts and prayers to his family and friends.

მარგარეტ ვილისი

MARGARET WILLIS

ბალეტის კრიტიკოსი, ლონდონი

Ballet critic

განსაკუთრებული ადამიანი, რომელიც გვიყვარდა და რომელსაც ვერასოდეს შეცვლის სხვა. ისინი ვინც გვიყვარს არასოდეს გვტოვებენ; ისინი ჩვენს გვერდით არიან ყოველდღე, ჩუმად, ჩვენგან შეუმჩნევლად, მაგრამ ახლოს. გვიყვარხარ, გვენატრები. ნათელში გამყოფოს ღმერთმა, ძვირფასო გუგა.


A special person, someone we loved and can never be replaced. Those we love don't go away, they walk beside us every day, unseen, unheard, but always near. Still loved, still missed and very dear.. Rest in Peace, Dear Guga.

საშა ევტიმოვა

SASHA EVTIMOVA

ქორეოგრაფი

Choreograph





გაუსაძლისია სიცოცხლე, როცა შენაირი ადამიანები ასე ადრე მიდიან ამ ქვეყნიდან. მშვიდობით ჩემო გუგა!

ვასილ ახმეტელი

Life is unbearable, when people like you, pass ahead of time. Farewell my dear Guga!

VASIL AKHMETELI

მიძიძის გუგაზე წარსულში საუბარი. სულ მგონია, რომ მისი ჩვეული ღიმილით შემოვა სარეჟისოროში და მოკრძალებულად იკითხავს რეპეტიციების განრიგზე. წლებია თეატრში ვარ და არ მახსენდება შემთხვევა, როცა გუგას დახმარება სთხოვეს და მან უარი უთხრა. ალბათ საკუთარი საქმეების გადადებას უწევდა, იღლებოდა კიდევ, მაგრამ უარის თქმა არ შეეძლო. უსაზღვროდ კეთილი და მორიდებული მეგობარი დავკარგეთ.

მაია ალფაიძე

It is hard for me to talk about Guga in past. I always expect that he enters in directional room with his usual smile and modestly asks about rehearsing schedule. For years have been working in theater, and I cannot recall time when Guga refused to help. Perhaps he had to postpone his own work, even exhausted, but he never refused. We have lost infinitely kind and respectful friend.

MAIA ALPAIDZE

გუგა კარგი მეგობარი იყო – სანდო და თბილი. ამავე დროს ნიჭიერი მოცეკვავე, რომელმაც ვერ მოასწრო თავისი შესაძლებლობების სრულად გამოვლენა; ადამიანი, რომლისგან არავის არ ახსოვს ოდნავი წყენა. ძალიან მიძიძეა იმის გააზრება, რომ ის ჩვენთან აღარაა. უდიდესი დანაკლისი და ტკივილია ეს პირადად ჩემთვის. ჩვენ ახლო მეგობრები ვიყავით.

დავით ანანიაშვილი

Guga was a good friend – trustworthy, sincere. At the same time he was talented dancer, who had not enough time to fully reveal his abilities; Person, who never caused even slightest displeasure. It is very hard to realize that he is no longer with us. Personally for me, it is the huge loss and pain. We were close friends.

DAVID ANANIASHVILI



Me and Guga became acquainted during last years in theatre. We had a lot of work done together. Most recent joint work was creating a new web page for Nina Ananiashvili. Working with Guga was very pleasant and comfortable. Highly responsible and disciplined, he required the same from others. Perhaps, these qualities brought us closer. I do not recall the case, when did not complete work promptly and postponed it until tomorrow. He himself served as a role model. He had beautiful dreams and plans for the future, which he often shared with me, but unfortunately he was unable to implement. All my life I will remember the terrible day of August when I was informed of Guga's tragic death. For me he will remain as frank and lovely memory, as he was in everyday life.

EKA SHAVLIASHVILI

გუგას თეატრში ბოლო წლებში დავუახლოვდი. ჩვენ ერთად ბევრი საქმის გაკეთება მოგვიწია. სულ ბოლოს რაზეც ვიმუშავებთ, ეს ნინო ანანიაშვილის ახალი ვებგვერდის შექმნა იყო. გუგასთან მუშაობა ძალიან სასიამოვნო და კომფორტული იყო. უაღრესად პასუხისმგებლობით საცხე და მოწესრიგებული შენგანაც იგივეს ითხოვდა. ალბათ, ჩვენ ამ თვისებებზე დავგვაახლოვდა. არ მახსენდება საქმე, რომელიც ხვალისთვის გადავდეთ და არ გავაკეთეთ. იგი თავად იძლეოდა ამის მაგალითს. მას ჰქონდა ლამაზი სამომავლო ოცნებები და გეგმები, რომელზეც ხშირად მიყვებოდა, მაგრამ სამწუხაროდ მისი განხორციელება ვერ შეძლო. ცხოვრების ბოლომდე საშინლად გამახსენდება აგვისტოს ის დღე, როცა დამირეკეს და შემატყობინეს გუგას ტრაგიკულად დაღუპვის ამბავი. მაგრამ გუგა ჩემს ცხოვრებაში იმ გულწრფელი და საყვარელი მოგონებებით დარჩა, როგორც ის ყოველდღიურობაში იყო.

ეკა შავლიაშვილი

„მა მიყვარს კლასიკური მუსიკა“

თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში კლასიკური მუსიკის შემეცნებითი პროგრამა ერთი წელია იმართება. ხელოვნების სახელმწიფო მოღვაწეები მუსიკით დაინტერესებულ პატარა აღსაზრდელებს საინტერესო შემეცნებით საუბრებს სთავაზობენ. 8 აპრილს მათ პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი შეხვდა, რომელიც საბალეტო მუსიკის შესახებ ესაუბრა ბავშვებს. საუბართან ერთად საღამოზე წარმოდგენილი იქნა ფრაგმენტები კლასიკური ბალეტებიდან, რომლებსაც საბალეტო დასის და ქორეოგრაფიული სასწავლებლის აღსაზრდელები ასრულებდნენ.



I LOVE CLASSICAL MUSIC

It is over a year, Tbilisi State Conservatoire holds classical music educational program, where prominent art professionals are offering youngster music amateurs exciting lectures. On April 8, they had a meeting with prima-ballerina Nina Ananiashvili, who discussed ballet music. Together with verbal material, fragments from classical ballets were presented by ballet company and ballet school students.

სუხიშვილის იუბილე

ქართულ ნაციონალურ ბალეტს 70 წელი შეუსრულდა. „სუხიშვილების“ სახელით ცნობილ ანსამბლს იუბილე პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილმა მიულოცა: „სუხიშვილებმა, როგორც მას სიყვარულით ეძახიან ჩვენთანაც და უცხოეთშიც, ქართული კულტურის და ჩვენი ქვეყნის არსებობის შესახებ მაშინ გააგებინეს მსოფლიოს, როცა ამ ქვეყნიდან გასვლა უდიდეს პრობლემას წარმოადგენდა. ნინო რამიშვილის და ილიკო სუხიშვილის მიერ შექმნილი ეს ანსამბლი ჩვენი ქვეყნის იმიჯია, მისი სახეა. ამ ტრადიციებს უვლიან, ინახავენ, ავითარებენ და მომავალ თაობებს ზრდიან ჩემი მეგობრები – ნინო და ილიკო. სუხიშვილებს – ქართულ ნაციონალურ ბალეტს, დიდი საღამო და საუკეთესო საიუბილეო სურვილები ჩემგან და საქართველოს სახელმწიფო ბალეტისაგან!“ საიუბილეო გალა-კონცერტი თბილისის საკონცერტო დარბაზში 27 ივნისს გაიმართა და ანსამბლთან ერთად მასში მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავები ირმა ნიორაძე, ილიკო კუზნეცოვი და ნინო ანანიაშვილი მონაწილეობდნენ. ნინო ანანიაშვილმა სპეციალურად ამ კონცერტისთვის ილიკო სუხიშვილის მიერ დადგმული ცეკვა „ილოური“ შეასრულა. ცეკვის დადგმის იდეა უძველესი კინოკადრების მიხედვით გაჩნდა, რომელზეც სრულიად ახალგაზრდა ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი ქართულ ჩოხებში ჩაცმულები ცეკვავენ.



SUKHISHVILI ANNIVERSARY

Georgian National Ballet celebrates 70th anniversary. Prima ballerina Nina Ananiashvili congratulated Sukhishvili company: "Sukhishvili, as we call them here and abroad, managed to tell the world about Georgia and its culture by the time, when leaving the country was considered nearly impossible. The company, created by Iliko Sukhishvili and Nino Ramishvili, is the image of our country, its face. These traditions are preserved, evolved and new generations are brought up by my friends – Nina and Iliko. Sincere wishes to Sukhishvili from me and Georgian National Ballet!" Gala concert, dedicated to anniversary, was held in June 27 at Tbilisi Concert Hall; together with company, stars of world ballet Irma Nioradze, Ilse Liepa, Ilia Kuznetsov and Nina Ananiashvili participated in performance. Nina Ananiashvili, particularly for the concert, performed dance Iouri, staged by Iliko Sukhishvili. The idea of staging the dance was inspired by old film scenes, where young Nino Ramishvili and Iliko Sukhishvili danced in Georgian "chokhas".

ნინო ანანიაშვილის გამოსვლები ტოკიოში და მოსკოვში

13 და 14 ივნისს ნინო ანანიაშვილი იაპონიაში ერთ-ერთი საუკეთესო საბალეტო კომპანიის K-Ballets მიწვევით ტოკიოში, ამ დასის საიუბილეო სპექტაკლებში მონაწილეობდა. პრიმა-ბალერინამ მთავარი პარტია იცეკვა ა. ადანის ბალეტში „კორსარი“. მოწვევა ნინო ანანიაშვილმა K-Ballets-ს სამხატვრო ხელმძღვანელის, ინგლისის სამეფო ბალეტის ყოფილი მოცეკვავის ტეცუია კუმაკავასაგან მიიღო. სპექტაკლები ტოკიოში, ბუნკამურას ორჩერდ ჰოლში გაიმართა, ხოლო 20 ივნისს იოკოჰამაში – კანაგავა კენმინ ჰოლში. ანანიაშვილს პარტნიორობას დასის წამყვანი სოლისტი იუსუკე ოსოზავა უწევდა. ტოკიოში მიმდინარე წელს ნინო ანანიაშვილის კიდევ ერთი გამოსვლა შედგა. 11 სექტემბერს პრიმა-ბალერინამ Yokohama Minato Mirai Hall-ში მომავლად გედი იცეკვა. საღამოში მონაწილეობდნენ იაპონელი მევიოლინე ტამაკი აოაგი და პიანისტი სუსუმუ აოაგი.

NINA ANANIASHVILI PERFORMING IN TOKYO AND MOSCOW

On 13-14 June Prima ballerina Nina Ananiashvili was invited to perform in Tokyo, by one of the top ballet companies in Japan – K-Ballets. Prima ballerina performed leading role in A.Adam's ballet Le Corsaire. N. Ananiashvili got invitation from artistic director of the K-ballets, former principal dancer with the Royal Ballet-Tetsuya Kumakawa. Performances were held in Tokyo, Bunkamura Orchard Hall; on June 20 one more performance in Yokohama, Kanagawa Kenmin Hall. Nina Ananiashvili was accompanied by leading soloist of the company Yusuke Osozawa. This year, Nina Ananiashvili performed once again in Tokyo. On September 11, prima-ballerina danced dying swan at Yokohama Minato Mirai Hall. Japanese violinist Tamaki Kawakubo and pianist Susumu Aoyagi participated in the evening as well.

30 ოქტომბერს მოსკოვში, სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს მუსიკალურ თეატრში, ფრედერიკ ეშტონის ქორეოგრაფიის საღამო გაიმართა. პროგრამაში წარმოდგენილი იყო ერთმოქმედებიანი ბალეტი „მარგარიტა და არმანი“, რომელშიც მონაწილეობდა პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი. მას პარტნიორობას ამ თეატრის მოწვეული სოლისტი, მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავი სერგეი პოლუნინი უწევდა.



On October 30, Frederick Ashton evening was held at Stanislavsky and Nemirovich-Danchenko Moscow Music Theatre, Moscow. One act ballet Marguerite and Armand was on stage with prima-ballerina Nina Ananiashvili and guest soloist, world ballet star Sergei Polunin performing leading roles.



ეკა სურმავა,
დავით ანანიაშვილი
„ჰიბელი“
EKASURMAVA,
DAVID ANANIASHVILI
IN GISELLE

14 თებერვალს „ამაღოს სიფრთხილემი“ ნიკოლოზ ფეიქრიშვილმა პირველად იცეკვა მარცელინას როლი.

163-ე სეზონზე დასის ორ სოლისტს ჰქონდა პირველი გამოსვლა ჟიბელის პარტიაში. 26 აპრილს ეკა სურმავამ პირველად იცეკვა ჟიბელი. მას პარტნიორობას უწევდა იონენ ტაკანო, ხოლო 10 მაისს ნინო სამადაშვილის და რიო კატოს დებიუტი შედგა. პირველი გამოსვლები ჰქონდათ „ჰიბელში“ 21 ივნისს ფილიპ ფედულოვს (გრამფი ალბერტი) და თამარ ჯაშიაშვილს (მირტა).

„დონ კიხოტში“ გამაშის როლი პირველად იცეკვა ნიკოლოზ ფეიქრიშვილმა, ქუჩის მოცეკვავე — თამარ ჯაშიაშვილმა.

21 ნოემბერს „დონ კიხოტში“ ბაზილის პარტიაში პირველად გამოვიდა ფრენკ ვან ტონგერენი, რომელიც ნუცა ჩეკურაშვილს უწევდა პარტნიორობას. მერსედესის პარტია და ბოლერო ამე დღეს პირველად იცეკვა შორენა ხაინდრავამ.

On February 14, Nikoloz Peikrishvili performed Marcelina's role in *La fille mal gardee*, for the first time.

In 163th season two company soloists performed for the first time Giselle's part. On April 24, Eka Surmava danced Giselle for the first time. She was accompanied by Yonen Takano, while on May 10, debut of Nino Samadashvili and Rio Kato was held. On June 21, the first-time performances in *Giselle* had Philip Fedulov (Albert) and Tamar Jashvashvili (Myrta).

Gamache role in *Don Quixote* was performed for the first time by Nikoloz Peikrishvili, whereas street dancer — Tamar Jashvashvili.

On November 21, Frank Van Tongeren danced Basil in *Don Quixote* accompanied by Nutsa Chekurashvili. Mercedes part and bolero was performed by Shorena Khaindrava for the first time.



ნინო სამადაშვილი.
„ჰიბელი“
48 | Arabesque N25
NINO SAMADASHVILI
IN GISELLE

ახალი 164-ე სეზონიდან საბალეტო დასში

ახალი სოლისტები იქნენ მიღებული

IN NEW 164-TH SEASON NEW BALLET SOLOISTS WERE ADMITTED

ფრენკ ვან ტონგერენი თბილისში ჰონგ კონგის ბალეტიდან გადმოვიდა, სადაც 2012 წლიდან ცეკვავდა. პროფესიული მომზადება მან თავდაპირველად ამსტერდამში, ნაციონალური ბალეტის აკადემიაში, შემდეგ კი ჰააგის სამეფო კონსერვატორიაში გაიარა. 2010 წელს, ფრენკმა მიიღო ცეკვის ბაკალავრის დიპლომი და შეუერთდა ნორვეგიის ნაციონალურ ბალეტს, შემდეგ კი ჰონგ-კონგის ბალეტში გადავიდა. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში მან უკვე იცეკვა სოლო პარტია ჯორჯ ბალანჩინის ბალეტში „Symphony in C“ და ბაზილის პარტია „დონ კიხოტში“.


Frank Van Tongeren joined company from Hong Kong Ballet, where he danced from 2012. He received professional training in Amsterdam, National Ballet Academy and later at the Royal Conservatory in The Hague. In 2010, Frank received a bachelor's degree in dance performance and joined the Norwegian National Ballet, from where he later moved to Hong Kong Ballet. He already danced solo parts in George Balanchine's ballet *Symphony in C* and Basil in *Don Quixote* at Tbilisi Opera and Ballet Theater.

ნუცა ჩეკურაშვილი,
ფრანკ ვან ტონგერენი.
„დონ კიხოტი“
NUTSACHEKURASHVILI,
FRANK VAN TONGEREN IN
DON QUIXOTE



მაჩი მუტომ ინგლისის ნაციონალური ბალეტის სკოლა და ჰოლანდიის ნაციონალური ბალეტის აკადემიაში დაამთავრა. მაჩი ნორვეგიის ნაციონალურ ბალეტსა და ჰონგ კონგის ბალეტის კორდებალეტში ცეკვავდა. 2015 წლის აგვისტოდან მაჩი თბილისის ზ.ფალაიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია. არის რამდენიმე კონკურსის ლაურეატი. 2005 წელს მან იაპონიის საბალეტო კონკურსზე პირველი ადგილი მიიღო, 2015 წელს კორეის ბალეტის ფონდის ჯილდო დაიმსახურა კორეის საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე. თბილისის ოპერის თეატრის დასში მან უკვე იცეკვა სოლო პარტია ჯორჯ ბალანჩინის ბალეტში „Symphony in C“.

Machi Muto graduated from English National Ballet School and the Dutch National Ballet. Machi danced in corps de ballet at Norwegian National Ballet and Hong Kong Ballet. Since August 2015, she is soloist at Tbilisi Opera and Ballet Theater. Machi won several competitions. In 2005, she took first place at the Ballet Competition in Japan, as well as received award in Korea International Ballet Competition in 2015. By now, she has danced solo part in George Balanchine's ballet *Symphony in C*.



ელეიზე სოლიე სამუდიო მარინი პანამის ცეკვის ეროვნულ სკოლაში და რაისა გუტერეს აკადემიაში მიიღო განათლება. იყო პანამის ეროვნული ბალეტის სოლისტი. მის რეპერტუარშია წამყვანი როლები ბალეტებში „ბაიადერა“, „ჰიბელი“, „მაკნატუნა“, „სილივია“, „კორსარი“, „დონ კიხოტი“, „კოპელია“ და სხვა. ელეიზე მარინი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მოწვეული სოლისტია.

Eliese Solie Samudio Marini received tutoring at Panama national dance school and Raissa Guterres Academy. He was soloist at Panama National Ballet. His repertory includes leading roles in ballets: *La Bayadere*, *Giselle*, *Nutcracker*, *Sylvia*, *Le Corsaire*, *Don Quixote*, *Coppelia* and others. Marini is guest soloist at the Tbilisi Opera and Ballet Theater.

საბალეტო დასს ასევე შეუერთდნენ ჯონ აბონანტი და დიეგო ბუტილიონე.

Furthermore, John Abonanty and Diego Buttiglione joined ballet company.

საქართველო ბალეტი
ძველმოძიარ სანმკარმოძიარ



Friends of
THE GEORGIAN BALLET

სეზონი 164 SEASON

თოშიო და ჰარუე კაიტანი	თქოთ / GOLD COUPLE	TOSHIO AND HARUE KAITANI
შომბი შარპი და სარა უოტერსონი	თქოთ / GOLD COUPLE	SHOMBI SHARP AND SARAH WATTERSON
ნიკ და კარო უილკესი	თქოთ / GOLD COUPLE	CARO AND NICK WILKES
ენიდ და ოლივიერ ბურკი	თქოთ / GOLD COUPLE	ENID AND OLIVIER BURKI
ანდრეას ჰეიდინგსფელდერი	თქოთ / GOLD COUPLE	ANDREAS HEIDINGSFELDER
გიორგი ჭირაკაძე და სარა უილიამსონი	თქოთ / GOLD COUPLE	GEORGE CHIRAKADZE AND SARAH WILLIAMSON
პოლ და მილა ჰოლოუეი	თქოთ / GOLD COUPLE	PAUL AND MILA HOLLOWAY
პამელა ჰლივა-ოლივერ	თქოთ / GOLD INDIVIDUAL	PAMELA HLYWA-OLIVER
რებეკა ობრაინი	თქოთ / GOLD INDIVIDUAL	REBECCA O'BRIEN
სუსანა ჰერმანი	თქოთ / GOLD INDIVIDUAL	ZSUZSANNA HERMAN
კაროლინა ფორესტიერი	თქოთ / GOLD INDIVIDUAL	CAROLINE FORESTIER
ფილიპ ლიმეტ დევეზი	თქოთ / GOLD INDIVIDUAL	PHILIPPE LIMET DEWEZ
სუსანა ჩანონი	თქოთ / GOLD INDIVIDUAL	SUSANNE CHANNON
მაკა გოტსირიძე	თქოთ / GOLD INDIVIDUAL	MAKA GOTSIRIDZE
ვიქტორია შტორმი	თქოთ / GOLD INDIVIDUAL	VICTORIA SHTORM
ქრისტოფერ გრინფილდი	თქოთ / GOLD INDIVIDUAL	CHRISTOPHER GREENFIELD
პატრიკ ჰონეფი	თქოთ / GOLD INDIVIDUAL	PATRICK HONNEF
ფრანესკა ჰუემერი კელი	თქოთ / GOLD INDIVIDUAL	FRANCESCA HUEMER KELLY
დავიდ ლოურენს ლი	თქოთ / GOLD INDIVIDUAL	DAVID LAWRENCE LEE
ანა ბუჩარტი	თქოთ / GOLD INDIVIDUAL	ANNA BUTCHART
ხატუნა ტახადაძე	თქოთ / GOLD INDIVIDUAL	KHATUNA TSKHADADZE
ორსოლია საროსი	თქოთ / GOLD INDIVIDUAL	ORSOLYA SAROSSY
სტიუარტი ნელსონი და ლესლი ბაქსტერი	მერსლეი / SILVER COUPLE	STUART NELSON AND LESLEY BAXTER
უილიამ და მილაგროს ლაჰუე	მერსლეი / SILVER COUPLE	WILLIAM AND MILAGROS LAHUE
ნედ და კაროლ პენოქი	მერსლეი / SILVER COUPLE	NED AND CAROL PENNOCK
აოიბეან ო'კეფე და ნილს სკოტი	მერსლეი / SILVER COUPLE	AOIBHEANN O'KEEFFE AND NIELS SCOTT
გიედრიუს პუოდჯიუნასი და ივეტა გედვილაიტი	მერსლეი / SILVER COUPLE	GIEDRIUS PUODZIUNAS AND IVETA GEDVILAITE
პრიტი და პირჯო ტურკი	მერსლეი / SILVER COUPLE	PRIIT AND PIRJO TURK
მარტინა კუიკი და ლეიფ ერიკსონი	მერსლეი / SILVER COUPLE	MARTINA QUICK AND LEIF ERIKSSON
არჩი კუბლავილი და ლუბა პროტსივა	მერსლეი / SILVER COUPLE	ARCHIE KUBLASHVILI AND LUBA PROTSIVA
ულე სუსალუ	მერსლეი / SILVER INDIVIDUAL	ÜLLE SOOSALU
სირჯე ლაივეე	მერსლეი / SILVER INDIVIDUAL	SIRJE LAIDVEE
ვიქტორია აკუინი	მერსლეი / SILVER INDIVIDUAL	VICTORIA ACQUIN
კარლ ვაკერმანი	მერსლეი / SILVER INDIVIDUAL	CARL WACKERMAN
ჟელე ვილ	მერსლეი / SILVER INDIVIDUAL	JOËLLE VIEL
ეუდოსია ანდო	მერსლეი / SILVER INDIVIDUAL	EUDOSIA C. ANDOH
ტომას პერნიკი	მერსლეი / SILVER INDIVIDUAL	TOMAS PERNICKY
მარტინ მაქსილიან კაიზერი	მერსლეი / SILVER INDIVIDUAL	MARTIN MAXMILIAN KAISER
პლამენ ბონჩევი	მერსლეი / SILVER INDIVIDUAL	PLAMEN BONCHEV
ლენა კილადე	მერსლეი / SILVER INDIVIDUAL	LENA KILADZE
ნანა დვალი	მერსლეი / SILVER INDIVIDUAL	NANA DVALI
კრაიგ ბონნეტი	მერსლეი / SILVER INDIVIDUAL	CRAIG BONNETT
იოჰანეს ვერნერი	მერსლეი / SILVER INDIVIDUAL	JOHANNES WERNER
ბენჯამინ პაინი	მერსლეი / SILVER INDIVIDUAL	BENJAMIN PAINE

სტიპენდიის სპონსორები / SCHOLARSHIP SPONSORS

პატრისია და ლუის ფაორო – ქეთი ფაოროს ხსოვნისათვის PATRICIA AND LOUIS FAORO – IN MEMORY OF CATHY FAORO
 „სამართლებელთა ამერიკელი მეგობრები“ AMERICAN FRIENDS OF GEORGIA

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მოგვწეროთ:

For additional information, please email:

Frends.georgianballet@gmail.com



№ 2-2151-М311